განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ბუნება 1

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი



აივენგო შათირიშვილი, თამარ ჯაყელი,
მარიამ წიკლაური, რუსუდან ახვლედიანი

ბუნება 1

მასწავლებლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ბუნება
I კლასი, I ნაწილი
მასწავლებლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორები:
აივენგო შათირიშვილი
მარიამ წიკლაური
თანაავტორი:
რუსუდან ახვლედიანი

ავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი:
თამარ ჯაყელი

სამეცნიერო რეცენზენტი: ზურაბ ვახანია
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: ია აფთარაშვილი
საგნობრივი ექსპერტი: ეკატერინე კვირკველია
რედაქტორი: ქეთი (დინარა) ჩხობაძე
ილუსტრატორი: ნინო მიქაბერიძე
დამკაბადონებელი: მზია ლეკვეიშვილი
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

სახელმძღვანელო შექმნილია იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ ნააზრევზე დაფუძნებით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია ლიცენზირებული ციფრული პლატფორმებიდან შეძენილი/მოპოვებული ფოტო-ილუსტრაციები. ცალკეული ფოტო-ილუსტრაცია შექმნილია/დამუშავებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი – I და II ნაწილი;
მოსწავლის რვეული – I და II ნაწილი;
მასწავლებლის წიგნი – I და II ნაწილი.



განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

© საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8918-9

სარჩევი

შესავალი 4

თემა 1. შემოდგომაა, სწავლას ვიწყებთ! 5

თავი 1. ჩვენი სკოლა 6

§ 1. კესო, გიგი და მათი უჩინარი მეგობარი 8

§ 2. კესოსა და გიგის სკოლა 15

§ 3. კესოსა და გიგის საკლასო ოთახი 20

§ 4. მოძრაობის მიმართულება 25

§ 5. ვიმოგზაუროთ სკოლაში 27

თავი 2. სკოლის ეზოში 29

§1. ეზოს ბინადრების გაცნობა 31

§ 2. როგორ ცხოვრობენ სკოლის ეზოს ბინადრები 36

§ 3. ფერადი შემოდგომა 54

§ 4. მცენარეების დარგვის დღე 65

განმავითარებელი შეფასება 73

თემა 2. დაგვიზამთრდა 78

თავი 1. ზამთარია, ზამთარია 78

§1. როგორ ემზადებიან ცხოველები გამოსაზამთრებლად 79

§2. ახალი წელი მოდის 87

შესავალი

„სკოლა მოკლებულია განმაცხოველებელ სიხარულს, რომელიც ბავშვის ბუნებისთვის იმისთანავე საჭირო სტიქიაა, როგორც წყალი თევზისთვის“, – წერდა იაკობ გოგებაშვილი. საკლასო ოთახებში „განმაცხოველებელი სიხარულის“ შესატანად იგი უბადლო პედაგოგიკური გუმანით ქმნიდა შინაარსობრივად და ენობრივად მდიდარ ტექსტებს ბუნებაზე, ზნეობაზე, ისტორიასა თუ ეთნოგრაფიაზე. ეს ტექსტები გამოირჩევა ბავშვისთვის მისაწვდომი, ბუნებრივი, ხალასი, თვალსაჩინო შინაარსით. სწორედ ამიტომ ისინი იდეალურად ეხმიანება ბავშვის ბუნებრივ სულიერ სამყაროს: არ ამსხვრევს მის ზღაპრისეულ წარმოდგენებს, ასაზრდოებს წარმოსახვას, ინტუიციასა და შემოქმედებით უნარებს; ამავდროულად უყალიბებს თანამგრძნობ, გულშემატკივრულ განწყობას როგორც ბუნების, ისე ადამიანის მიმართ.


გოგებაშვილისეული, სიყვარულით სავსე პედაგოგიკური ხედვის კვალდაკვალ, ჩვენც ვცადეთ, ბუნებისმეტყველების სწავლის პროცესი ბავშვებისთვის ნადვილ სიხარულად გვექცია.

ამ მიზნით გულანთებულნი გავერთიანდით სხვადასხვა პროფესიის ადამიანი. ეს სახელმძღვანელო სწორედ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის ნაყოფია.

იმედი გვაქვს, რომ ბავშვები დაუმეგობრდებიან სახელმძღვანელოს მთავარ პერსონაჟს, ციყვ ციოს, რომ იგი სიხარულს მოუტანს ჩვენს პატარებს და ნაბიჯ-ნაბიჯ გაუკვალავს გზას ბუნების იდუმალი, საოცარი სამყაროსკენ; გვჯერა, რომ ჩვენი პატარები ძალდაუტანებლად, სიხარულით შეიცნობენ და ეზიარებიან საქართველოს ბუნების მრავალფეროვნებას, მადლსა და მშვენიერებას, ისწავლიან მის სიყვარულსა და გაფრთხილებას. ამასთანავე, ვიმედოვნებთ, რომ ამ სახელმძღვანელოთი მუშაობა ჩვენი მასწავლებლებისთვისაც შემოქმედებითი და სასიამოვნო პროცესი იქნება.

თემა 1. შემოდგომაა, სწავლას ვიწყებთ!

აქტივობა 1. ინტერაქცია ილუსტრაციაზე დაყრდნობით



შემოდგომა სწავლის დროა,
განა მარტო რთველის?!
სექტემბერში მოსწავლეებს
სკოლა გვიხმობს, გველის!

► **ინსტრუქცია** – **განწყობითი მზაობის შექმნა**

საორიენტაციო შეკითხვები:

- არიან თუ არა თქვენს ოჯახში, სამეზობლოში ან სანათესაოში ბავშვები, რომლებიც სკოლაში დადიან? მოსწონთ თუ არა მათ სკოლა? რა მოსწონთ, რა არ მოსწონთ?
- როგორ გგონიათ, რისთვის დადიან ბავშვები სკოლაში, რას აკეთებენ იქ?
- თქვენ რისი გაკეთება გსურთ სკოლაში?
- როცა სკოლაში მოდიოდით, რას გრძნობდით?
- როგორ გგონიათ, ჩვენ ერთად რას გავაკეთებთ სკოლაში?

აქტივობა 2. ლექსის წაკითხვა და შინაარსის დამუშავება

- რატომ არის ნათქვამი, რომ შემოდგომა სწავლის დროა?
- წელიწადის რომელი დროა ახლა? საიდან ხვდებით?
- რომელი თვეა ახლა?
- სექტემბერში ვის გაქვთ დაბადების დღე?

თავი 1. ჩვენი სკოლა

გრძელვადიანი მიზნები

სამიზნე ცნება: სხეული

შედეგი: სხვადასხვა სხეულის შემადგენელი ნაწილების თვისებებისა და ფუნქციების გაანალიზება ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად.

სამიზნე ცნება: სივრცეში ორიენტირება

შედეგი: სივრცეში ორიენტირების ხერხების გააზრება ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად.

სამიზნე ცნება: ჰაბიტატი

შედეგი: განსხვავებული ჰაბიტატების აღწერა და გარემოს დაცვის აუცილებლობის მნიშვნელობის გააზრება ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით.

თემატური ბლოკი – გარემო, როგორც სისტემა *(ლოკალური გარემო: სახლი, სკოლა, ეზო).*

შუალედური მიზნები

საკითხი: ჩვენი სკოლა

სამიზნე ცნება: ჰაბიტატი

- შესასწავლი ცხოველის – ციყვის საბინადროს აღწერა;
- ცხოველის გარემოსთან შეგუებულობის წარმოჩენა.

სამიზნე ცნება – სხეული

<u>ცოცხალი სხეული</u>

- ციყვის აღწერა-დახასიათება: სხეულის რა ნაწილები აქვს, რისთვის იყენებს, რით იკვებება, როგორ იცავს თავს.

<u>არაცოცხალი სხეული</u>

- სასკოლო ნივთების (ავეჯის, სასწავლო ნივთების) აღწერა, ნაწილების დასახელება, მათი ფუნქციის გააზრება და დასახელება;
- სასკოლო ნივთების დანიშნულების ახსნა.

სამიზნე ცნება – სივრცეში ორიენტირება

- ობიექტთა მიმართებითი ადგილმდებარეობის გარკვევა.

დავალება

მოსწავლემ უნდა მიახატოს სასკოლო ნივთებს ნაკლული ნაწილები და წარადგინოს ნამუშევარი.

წარდგენისას მოსწავლე წარმოაჩენს:

- რა ნივთია/რა ნივთებია;
- რაში იყენებენ;
- რა ნაწილები აქვს;
- რა ნაწილი/ნაწილები აკლდა;
- რისთვისაა ეს ნაწილი/ნაწილები საჭირო;
- სად დევს ეს ნივთი/ნივთები გიგისთან მიმართებით *(მაგ.: გიგისგან მარჯვნივ, გიგისგან მარცხნივ, გიგის წინ და სხვა).*

შესაძლებელია ყურადღების გამახვილება ამა თუ იმ ნივთის სხვადასხვა მახასიათებელზეც: მაგ., რა ფერია, რა ზომისაა, როგორი ფორმა აქვს.

თავი 1. ჩვენი სკოლა

§ 1. კესო, გიგი და მათი უჩინარი მეგობარი

აქტივობა 1. ცხოველების ამოცნობა
აქტივობა 2. მარიამ წიკლაურის ტექსტის „კესო, გიგი და უჩინარი მეგობარი" პირველი ნაწილის წაკითხვა და ვარაუდების გამოთქმა
აქტივობა 3. ვარაუდების გამოთქმა ილუსტრაციაზე დაყრდნობით
აქტივობა 4. გამოცანის პასუხის ამოცნობა, ცხოველის ფიგურის გაფერადება
აქტივობა 5. გამოცანის გამეორება
აქტივობა 6. ციყვის ნირის გაცნობა
აქტივობა 7. ლაბირინთში გზის გაგნება, წერტილების შეერთება
აქტივობა 8. მარიამ წიკლაურის ტექსტის მე-2 ნაწილის – „ციყვი ციო" – წაკითხვა.

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2-3 სთ.

აქტივობა 1. ცხოველების ამოცნობა

ამოიცანით და დაასახელეთ ცხოველები. (გვ. 7)


ბუ


ჭიამაია


ყვავი


ციყვი


ობობა


კოდალა


მტრედი


ბეღურა


ლოკოკინა

აქტივობა 2. მარიამ წიკლაურის ტექსტის პირველი ნაწილის „კესოსა და გიგის უჩინარი მეგობარი“ წაკითხვა და ვარაუდების გამოთქმა

კესო და გიგი



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს დააკვირვებთ ილუსტრაციაზე და წაუკითხავთ ტექსტის I ნაწილს.

I ნაწილი

კესოს და გიგის უჩინარი მეგობარი

ეს კესოა, ეს – გიგი. ისინი წელს სკოლაში მიდიან. მათი სახლები გვერდიგვერდ ეზოებში დგას. მეზობლები საბავშვო ბაღშიც ერთად დადიოდნენ, სკოლაშიც ერთად ივლიან. ახალ მეგობრებსაც შეიძენენ. ვინ იქნებიან მათი კლასელები? კარგი გოგო-ბიჭები!

კესოს და გიგის ერთი უცნაური მეგობარიც გააცილებს სკოლისკენ. ვინ?

ეს საიდუმლოა. ბავშვები არავის უმხელენ ამ საიდუმლოს. რატომ? უცხოპლანეტელია? – არა! რობოტია? – არა! ძაღლია? – არა!

ის თვალით უხილავია, უჩინარია და კესოს ეზოში, დიდ მუხაზე ცხოვრობს.

მუხას ბევრი ცხოველი სტუმრობს: ყვავი, ბუ, ციყვი, ბელურა, ობობა, მტრედი... ნეტა რომელია?

აქტივობა 3. ვარაუდების გამოთქმა ილუსტრაციაზე დაყრდნობით (გვ. 8)

მუხა კესოს ეზოში



► ინსტრუქცია

ილუსტრაციაზე დაყრდნობით, გამოათქმევინეთ მოსწავლეებს ვარაუდები – რომელია კესოს და გიგის უცნაური მეგობარი.

? საორიენტაციო შეკითხვები:

- რომელ ცხოველებს ხედავთ მუხაზე? (ყვავი, ბუ, ციყვი, ბელურა, ობობა; ქვემოთ – მტრედი, ლოკოკინა).
- ამ ცხოველებიდან რამდენია ფრინველი? რამდენია ოთხფეხა ცხოველი?
- ოთხფეხა ცხოველი რომელია?
- რომელ ფრინველებს ცნობთ? რა ჰქვიათ?
- სად ზის ობობა?
- სად ზის ბელურა?
- სად ზის ყვავი?
- სად ზის ბუ?
- სად ზის ციყვი?
- თქვენი აზრით, ამ ცხოველებიდან რომელია კესოსა და გიგის მეგობარი?


შენიშვნა: *ადამიანების უმრავლესობას ჰგონია, რომ ცხოველი სხვაა, ფრინველი – სხვა. სინამდვილეში ფრინველი, ქვეწარმავალი თუ მწერი – ყველა ცხოველია. ამიტომ არასწორი იქნება ასეთი შეკითხვების დასმა: რომელია ცხოველი, რომელია ფრინველი? ფრინველს შეიძლება შევუპირისპიროთ ოთხფეხა ცხოველი და არა, ზოგადად, ცხოველი.*

აქტივობა 4. გამოცანის პასუხის ამოცნობა, ცხოველის ფიგურის გაფერადება

გამოიცანით, რომელია ამ ოთხი ცხოველიდან კესოსა და გიგის მეგობარი. გააფერადეთ ეს ცხოველი. (გვ. 7)

გამოცანა

ზამთრისთვის ფუღუროს
სარჩოთი ავსებს:
თხილს, კაკალს, წაბლს, სოკოს
აგროვებს მარჯვედ.
კუდი აქვს ფუმფუღა,
კბილები – ბასრი,
ხეებზე ბინადრობს
მთასა თუ ბარში.



► ინსტრუქცია

წაუკითხეთ მოსწავლეებს გამოცანა

მეთოდიკური კომენტარი:

ამ ტიპის სახალისო აქტივობები ხელს უწყობს მოსმენილის გააზრებისა და წარმოსახვის უნარების განვითარებას, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს მივცეთ არჩევანის საშუალება: **მას შეუძლია თვითონ შექმნას ლექსისთვის ნახატი, ან შემოხაზოს და გააფერადოს ციყვის კონტურებიანი ფიგურა.**

აქტივობა 5. გამოცანის გამეორება

► **ინსტრუქცია**

გაამეორებინეთ მოსწავლეებს გამოცანა ნაწილ-ნაწილ. გასამეორებელი ნაწყვეტი დასრულებული წინადადება უნდა იყოს და არა წინადადების ფრაგმენტი. ამ გზით მოსწავლეები თავიდანვე მიეჩვევიან დასრულებული წინადადებების წარმოთქმას.

აქტივობა 6. ციყვის ნირის გაცნობა

დააკვირდით: სხეულის რა ნაწილები აქვს? (აღწერა) (გვ. 9)



► **ინსტრუქცია**

წინარე ცოდნის გააქტიურება

საორიენტაციო შეკითხვები:

- რა იცით ციყვის შესახებ? რა გაგიგიათ? საიდან? (მაგ., მულტფილმებიდან, წიგნებიდან, პირადი გამოცდილებიდან).

შეკითხვები სხეულის ნაწილებზე:

- სხეულის რა ნაწილები აქვს? (თავი, ტანი, ოთხი თათი, ბრჭყალები, ყურები, გრძელი ფუმფუსა კუდი).
- რით აქვს სხეული დაფარული? (ბეწვით).
- რატომ აქვს გრძელი ფუმფუსა კუდი?
- გამოცანაში ნათქვამი იყო – ბასრი კბილები აქვსო! რას ნიშნავს ბასრი? (მჭრელი), რა შეიძლება იყოს ბასრი? (კბილი, დანის პირი).

დააკვირდით: რით იკვებება ციყვი? (გვ. 9)



შენიშვნა

საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ მოსწავლეებს მიაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: ციყვს არ შეიძლება მივცეთ მჟავე, ცხარე, მარილიანი საჭმელი, პოპკორნი (იგივე ბატიბუტი), ორცხობილა, ჩიფსი, კანფეტი, ნამცხვარი.

დააკვირდით: რას აკეთებს დღისით? რას აკეთებს ღამით? (გვ. 10)



ეს საინტერესოა!

საინტერესო ინფორმაციის მიწოდებამდე, გამოიწვიეთ მოსწავლეების ინტერესი შეკითხვის დასმით:

- **ინტერესის გამოწვევა:** როგორ გგონიათ, რატომ ავსებს ციყვი ფუღუროს სარჩოთი? *(ზამთარში გამოსაკვებად! ზამთარში მისთვის საჭირო საკვები ბუნებაში თითქმის აღარ არის და წინასწარ ზრუნავს – იმზადებს მარაგს).*
- **ინტერესის გამოწვევა:** ციყვი თურმე სხვადასხვა ადგილას მალავს ზამთრის მარაგს: ზოგს ფუღუროებში ინახავს, ზოგს მიწაში მარხავს. როგორ გგონიათ, რატომ? *(რომელიმე სხვა ციყვი ან სხვა ცხოველი თუ მიაგნებს ერთ-ერთ სამალავს და შეუჭამს მარაგს, სხვაგანაც რომ ჰქონდეს).*
- **ინტერესის გამოწვევა:** ციყვი თურმე ახალი ხეების აღმოცენებას უწყობს ხელს! თქვენი აზრით, როგორ? *(ხშირად ავიწყდება, სად ჩაფლა კაკალი ან სხვა მცენარეების თესლები. მიწაში ჩაფლული კაკლიდან ან თესლიდან კი ახალი ნერგი აღმოცენდება).*
- **ინტერესის გამოწვევა:** როგორ გგონიათ, ზამთრის სიცივეში რას იყენებს ციყვი საბნის ნაცვლად? *(გრძელ და ფუმფულა კუდს იფარებს).*
- **ინტერესის გამოწვევა:** აბა, ვინ გამოიცნობს, კიდევ რისთვის იყენებს ციყვი კუდს? (*ფუმფულა კუდი ძალიან მნიშვნელოვანია ციყვისთვის – ხის ტოტებზე სწრაფი გადაადგილებისას და ტოტიდან ტოტზე გადახტომისას ფუმფულა კუდი წონასწორობის დაცვაში ეხმარება. თუ იცით, რა არის წონასწორობა? აბა ვინ გვიჩვენებს მოძრაობით? ციყვი თურმე კუდით ინარჩუნებს წონასწორობას. ვინმემ თუ იცის,*

ცირკში აკრობატი რის დახმარებით ინარჩუნებს წონასწორობას? აბა, ნახეთ რვეულში – გოგონა და ციყვი რის დამხარებით ინარჩუნებს წონასწორობას და გააფერადეთ).

- **ინტერესის გამოწვევა:** როგორ გგონიათ, რისთვის იყენებს ციყვი ბრჭყალებს? *(ბრჭყალებით ხეებზე ადვილად ადის და ჩამოდის, თავს იცავს მტრებისგან, ადვილად მოიპოვებს საკვებს).*

დამოკიდებულების გამოხატვა: რით მოგეწონათ ეს ცხოველი? ყველაზე მეტად რამ დაგაინტერესათ?

მეთოდიკური მითითება: სანამ ბავშვებს რვეულში გოგონასა და ციყვის ნახატს აჩვენებდეთ, აუცილებელია სიტყვა „წონასწორობის“ მნიშვნელობის სხეულებრივი გათავისება. მაგ., აქტივობა — „მე ვარ ციყვი“: ბავშვები წამოდგნენ, ცალ ფეხზე დადგნენ და ხელები ტანთან მიიტანონ. ჰკითხეთ: „ადვილია ასე დგომა? ხომ არ ქანაობთ?“ ახლა სთხოვეთ, ხელები ფრთებივით გვერდებზე ფართოდ გაშალონ და ისე შეინარჩუნონ წონასწორობა.

მასწავლებლის სათქმელი: „ბავშვებო, ხელები რომ გაშალეთ, ხომ უფრო ადვილად ჩერდებით ერთ ადგილას? აი, ამას ჰქვია წონასწორობის დაცვა! ციყვს ჩვენსავით გრძელი ხელები არ აქვს, სამაგიეროდ აქვს დიდი, ფუმფულა კუდი. ტოტიდან ტოტზე გადახტომისას, რომ არ ჩამოვარდეს, ის კუდს ისევე ათამაშებს, როგორც თქვენ ახლა ხელები გაშალეთ!“

დააკვირდით და თქვით, რის დახმარებით ინარჩუნებს გოგონა წონასწორობას. ციყვი? გააფერადეთ. (გვ. 8)




აქტივობა 7.

რა საკვებს მოიპოვებს და ინახავს ციყვი ზამთრისთვის? აირჩიეთ და ხაზით დააკავშირეთ ფუღუროსთან.

შეგიძლიათ ციყვის საკვები ფუღუროშიც ჩახატოთ. (გვ. 8)





► **ინსტრუქცია**

გამოცანაზე დაყრდნობით, დაასახელებინეთ მოსწავლეებს, რა საკვებს მოიპოვებს ციყვი და შემდეგ შეასრულებინეთ რვეულში მოცემული დავალება.

1. მოსწავლეებმა ხაზებით უნდა დააკავშირონ ფუღუროსთან საკვები, რომელსაც აგროვებს ციყვი.
2. ასევე ფუღუროში შეუძლიათ ჩახატონ გამოცანაში ნახსენები **თხილი, კაკალი, წაბლი, სოკო, რკო**.

► **ინფორმაცია მასწავლებლისთვის**

ციყვი ინახავს ყველაფერს, რისი გამოშრობა და გახმობაც შეიძლება (მათ შორის – მშრალ თესლებსა და ნაყოფს). ვაშლი, მსხალი და სხვა წვნიანი ნაყოფი დალპება, ე.ი. ვერ შეინახება. ასევე ვერ მოიპოვებს ბუნებაში პურს, ნამცხვარს და კანფეტს.

აქტივობა 8. მარიამ წიკლაურის ტექსტის მე-2 ნაწილის – „ციყვი ციო“ – წაკითხვა

► **ინსტრუქცია**

შეახსენეთ მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე წაკითხული ტექსტი, შემდეგ წაუკითხეთ ახალი მონაკვეთი (ნაწილი 2).

ციყვი ციო

კესოსა და გიგის მეგობარი ერთი ცნობისმოყვარე და მხიარული ციყვია. ციყვს ციო ჰქვია. სახელი კესომ დაარქვა. უჩინარი ციო ყოველთვის იქაა, სადაც ბავშვები ეგულება. თქვენ კი მთელი დღე რომ ელოდოთ, მთელი კვირა, მთელი თვე და მთელი წელი, მაინც ვერაფრით ვერ დაინახავთ მას, თუ მხოლოდ თვალით იყურებით. მაგრამ თუ გულით იყურებით, მაშინ ციოს დანახვაც არ გაგიჭირდებათ.

კესო და გიგი ყოველდღე ხედავენ, ეთამაშებიან, ელაპარაკებიან ციოს. მეგობრებს ხომ ერთმანეთის კარგად ესმით?!

? **საორიენტაციო შეკითხვები:**


- როგორი ყოფილა ციყვი ციო?
- თქვენი აზრით, რას ნიშნავს „ცნობისმოყვარე“?
- ვისზე იტყვიან ცნობისმოყვარეაო?
- თქვენ თუ ხართ ცნობისმოყვარე?
- როგორ გგონიათ, რას ნიშნავს „უჩინარი“?
- თქვენ თუ გყავთ მეგობარი ცხოველი? რომელი ცხოველია? როგორია? ისიც ცნობისმოყვარეა? მასაც ყველაფერი აინტერესებს ციოსავით?
- თქვენ თუ გყავთ უჩინარი მეგობარი?
- როგორ გესმით, რას ნიშნავს: „თუ გულით იყურები, ციოს დანახვაც არ გაგიჭირდება.“

§ 2. კესოსა და გიგის სკოლა

აქტივობა 1. სკოლისკენ მიმავალი გზის მონიშვნა, წყვეტილი ხაზების შეერთება;
აქტივობა 2. მარიამ წიკლაურის ტექსტის მე-3 ნაწილის – „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!" – წაკითხვა.
აქტივობა 3. შეკითხვებზე პასუხი ილუსტრაციაზე დაყრდნობით
აქტივობა 4. ბუჩქის შემოხაზვა ლურჯად, ხისა – წითლად
აქტივობა 5. ეზოს მცენარეთა გაფერადება
აქტივობა 6. სკოლის ეზოს ერთად დათვალიერება
აქტივობა 7. ეზოების შედარება
საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 სთ.


აქტივობა 1. სკოლისკენ მიმავალი გზის მონიშვნა

მიიყვანეთ ავტობუსი სკოლამდე. (გვ. 9)



► **ინსტრუქცია**
მოსწავლეებმა ფანქრით უნდა მოხაზონ გზა, რომლითაც ავტობუსი სკოლამდე მივა.

წყვეტილი ხაზების გამთლიანება. (გვ. 9)



აქტივობა 2. მარიამ წიკლაურის ტექსტის მე-3 ნაწილის – „სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!“ – წაკითხვა

► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს შეახსენეთ წინა გაკვეთილზე წაკითხული ტექსტი. შემდეგ წაუკითხეთ მომდევნო, მე-3 ნაწილი.

სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

კესო და გიგი სკოლისკენ მიდიან. სკოლისკენ მხოლოდ ბავშვები კი არა, ციყვი ციოც მიბრძანდება! მიბრძანდება თუ მიხტის? – მიხტის! ხან კესოს ზურგჩანთაზე დასკუპდება, ხან – გიგის მხარზე; ხან მაღალი ხეების ტოტებზე შეხტება. ხიდან ხეზე ისკუპებს. თვალს არ აცილებს ბავშვებს. უხარია ციოს, მეგობრები რომ მხიარულად მიდიან სკოლისკენ.

კიდევ რა უხარია?

თვითონაც რომ პირველკლასელი ციყვი იქნება! მერე რა, რომ ციყვებისთვის მერხები არ დგას კლასში?! სკოლის ეზოში ბევრი ხეა. საკლასო ოთახის ფანჯრებთან ახლოს, რომელიმე ხის ტოტზე მოკალათდება და გაიგონებს, რასაც მასწავლებელი ბავშვებს შეასწავლის.

აქტივობა 3. შეკითხვებზე პასუხი ილუსტრაციაზე დაყრდნობით (გვ. 11)



► **ინსტრუქცია**

? **საორიენტაციო შეკითხვები**

- რამდენსართულიანია სკოლის შენობა? რა ფერისაა?
- რა მცენარეები მოჩანს სკოლის ეზოში?
- რომელია ბუჩქი?
- რომელია ხე?


- ბზა ფოთლოვანი მცენარეა თუ წიწვოვანი?
- ნაძვს ფოთლები აქვს თუ წიწვები? რა ფერისაა წიწვები?
- ვინ იცის, რომელი ხეა ცაცხვი?
- რა ფერისაა ცაცხვის ფოთლები შემოდგომაზე? რატომაა ფოთლები სხვადასხვა ფერის?
- რა ფერისაა ყვავილები?
- ამ ხეებიდან რომელია მარადმწვანე?
- რას ნიშნავს მარადმწვანე, ანუ „მუდამ მწვანე“?
- რატომ უწოდებენ ზოგ მცენარეს მარადმწვანეს?
- რა მოჩანს ღობეზე? (ხვეული სურო)
- კიდევ რა ჩანს ეზოში? (სტადიონი)
- რისთვისაა საჭირო ურნები?
- სად არიან კესო და გიგი?
- სად არის ციო?
- რას აკეთებენ სხვა ბავშვები?
- რატომ აქვთ ბავშვებს ზურგჩანთები?
- თქვენი აზრით, რა უწყვიათ ბავშვებს ზურგჩანთებში?
- თქვენ რა ჩააწყვეთ ჩანთაში, სკოლაში რომ მოდიოდით?

შენიშვნა:

შეკითხვასთან – ნაძვს და ფიჭვს ფოთლები აქვს თუ წიწვები? – დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მართალია, წიწვიც ფოთლის ნაირსახეობას წარმოადგენს, მაგრამ სწავლების მოცემულ ეტაპზე ამ საკითხზე ყურადღებას არ გავამახვილებთ.


აქტივობა 4. ბუჩქის შემოხაზვა ლურჯად, ხისა – წითლად.

ლურჯად შემოხაზეთ ბუჩქი, წითლად – ხე. (გვ. 10)



აქტივობა 5. ეზოს მცენარეების გაფერადება

გააფერადეთ სკოლის ეზოს მცენარეები. (გვ. 11)



► ინსტრუქცია

სანამ მოსწავლეები ილუსტრაციის გაფერადებას შეუდგებიან, გაახსენეთ, რომ სურათზე შემოდგომაა და დასვით შეკითხვები:

- რომელი მცენარე უნდა გავაფერადოთ მწვანედ? რატომ?
- ფოთლოვან ხეებს როგორი ფერებით გააფერადებთ? რატომ?

აქტივობა 6. სკოლის ეზოს ერთად დათვალიერება

ა) სკოლის ეზოს მცენარეებსა და ცხოველებზე დაკვირვება

გაიყვანეთ მოსწავლეები სკოლის ეზოში და შესთავაზეთ, დააკვირდნენ ეზოს მცენარეებსა და ცხოველებს. გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ დაიმახსოვრონ დეტალები, რადგან საკლასო ოთახში დაბრუნებისას დახატავენ სკოლის ეზოს ან სკოლას.

გაამახვილეთ მოსწავლეთა ყურადღება იმაზე, თუ რა განსხვავებაა მცენარეებს შორის, ბინადრობენ თუ არა ხეებზე ან ბალახებში ფრინველები ან სხვა ცხოველები. ამისთვის დაუსვით მათ შესაბამისი შეკითხვები.

? საორიენტაციო შეკითხვები:

- რამდენი ხე დგას სკოლის ეზოში?
- რომელია ყველაზე მაღალი ხე?
- რომელი ხე მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- არის თუ არა სკოლის ეზოში ბუჩქები? რა განსხვავებაა ხეებსა და ბუჩქებს შორის?
- მოდით, დავაკვირდეთ, არიან თუ არა ცხოველები ჩვენს ეზოში (მაგ., მტრედი, ყვავი, ბეღურა, ჭიანჭველა, ხოჭო, ხვლიკი და ა.შ. შესაძლოა, შინაური ცხოველებიც იყვნენ).

- არის თუ არა ყვავილები? რა ფერისა?
- ხომ არ არის ეზოში ხვიარა მცენარეები? სად? (მაგ., ხეზე, ღობეზე).
- რომელი ადგილი მოგწონთ ყველაზე მეტად ეზოში? რატომ?

ბ) სკოლის შენობაზე დაკვირვება

ეზოში ყოფნისას (ან მეორედ გასვლისას) მოსწავლეები ათვალიერებენ სკოლის შენობას, აკვირდებიან და შეისწავლიან მას: ითვლიან სართულებს, აკვირდებიან სხვადასხვა დეტალს, მაგალითად: ფასადისა და ფანჯრების ჩარჩოს ფერს, საწვიმარ მილებს, სახურავის ფორმასა და ფერს და სხვ.

საკლასო ოთახში დაბრუნებისას მოსწავლეები, სურვილისამებრ, ხატავენ სკოლის ეზოს ან სკოლის შენობას (თავად ირჩევენ). მუშაობენ ინდივიდუალურად, თაბახის ფურცლებზე. ნახატის დასრულების შემდეგ ეწყობა გამოფენა საკლასო ოთახში ამ ტიპის აქტივობებისთვის გამოყოფილ კუთხეში.

მსურველები გააკეთებენ პრეზენტაციას, რაც მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველების უნარების განვითარებისთვის.

მეთოდიკური შენიშვნა: ამ ტიპის აქტივობები მნიშვნელოვანია იმით, რომ აუმჯობესებს დაკვირვების უნარებს.

აქტივობა 7. ეზოების შედარება

საორიენტაციო შეკითხვები:

- რით ჰგავს კესოსა და გიგის სკოლის ეზო თქვენი სკოლის ეზოს? რით განსხვავდება?

საჭიროებისამებრ, მოსწავლეებს დაუსვით დამხმარე შეკითხვები:

- არის თუ არა სტადიონი თქვენი სკოლის ეზოში? კესოსა და გიგის სკოლის ეზოში?
- არის თუ არა ურნები თქვენს ეზოში?
- არის თუ არა მარადმწვანე ხეები თქვენს ეზოში?
- ყვავილები?
- ხეზე ან ღობეზე დახვეული სურო?
- და მისთ.

§ 3. კესოსა და გიგის საკლასო ოთახი

აქტივობა 1. მარჯვენა და მარცხენა

აქტივობა 2. იპოვეთ განსხვავება

აქტივობა 3. პირველი (ან მეორე) საკლასო ოთახის შედარება საკუთარ საკლასო ოთახთან

აქტივობა 4. ნივთების დაკავშირება სასკოლო ჩანთასთან

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 სთ.

აქტივობა 1. მარჯვენა და მარცხენა


ა) შესთავაზეთ მოსწავლეებს, დაიკრან სხვადასხვა ფერის სტიკერები მარჯვენა და მარცხენა ხელზე (მაგ., წითელი სტიკერი დაიკრან მარჯვენა ხელზე, მწვანე სტიკერი – მარცხენა ხელზე). ამის შემდეგ წამოიწყეთ თამაში: რამდენჯერმე ააწევინეთ მარჯვენა ხელი და მარცხენა ხელი. ყოველ ჯერზე ჰკითხეთ: აბა, მარჯვენა ხელი რა ფერია? მარცხენა ხელი? საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ ტემპი ააჩქაროთ.

ბ) ააწევინეთ რიგრიგობით ფეხები (ასწიეთ მარცხენა ფეხი, ახლა მარჯვენა ფეხი), შემდეგ შესთავაზეთ ასკინკილათი ხტუნვა ფეხების მონაცვლეობით (იხტუნავეთ მარჯვენა ფეხით, ახლა მარცხენა ფეხით).

დამატებითი რესურსი: ანიმაცია „მაიმუნი მარკო: მარჯვენა თუ მარცხენა„ (https://www.youtube.com/watch?v=1du-FKcSvzA) ან/და „ჟირაფი ჟოზე: მარჯვენა და მარცხენა„ (https://www.youtube.com/watch?v=ri3p66aumJc)

აქტივობა 2. იპოვეთ განსხვავება (გვ. 12)





► **ინსტრუქცია**

დააჯგუფეთ და ამუშავეთ მოსწავლეები ჯგუფებში – რომელი ჯგუფი რამდენ განსხვავებას იპოვის;

განიხილეთ ერთად შედეგები და იპოვეთ ყველა განსხვავება.


სწორი პასუხი მასწავლებლისთვის: სულ არის 7 განსხვავება

მეთოდიკური მითითება – ორივე ილუსტრაცია საკმაოდ დეტალიზებულია, მოიცავს ბევრ ობიექტს. ზოგი ბავშვისთვის ამგვარი სურათების დამუშავება სულაც არაა ძნელი, ზოგს კი გაუჭირდება მათი მეხსიერებაში შენახვა, შედარება და დეტალების ძებნა. ამიტომ მასწავლებელმა აქ დიფერენცირებული მიდგომა უნდა გამოიყენოს. ასე მაგალითად: ვისაც უჭირს მოცემული ორი სურათის შედარება-დამუშავება, ერთად დასხამთ, თქვენც მიუჯდებით და გეზისმიმცემი შეკითხვებით დაეხმარებით.

თუ მთელ კლასს ამუშავებთ, მაშინ ჯერ იმ მოსწავლეებს დაასახელებინებთ ერთ-ორ განსხვავებას, რომლებსაც უჭირთ მოცემული ორი სურათის შედარება-დამუშავება. შემდეგ იმ მოსწავლეებს შეავსებინებთ პასუხებს, ვინც ამას უფრო ადვილად უმკლავდება.

პირველი სურათი	მეორე სურათი
1. ფანჯარაში მოჩანს მზე, ნაძვი და ნაძვზე ციყვი;	ფანჯარაში მოჩანს მზე და ფოთლოვანი ხე;
2. ფანჯრის რაფაზე ქოთნის ყვავილია;	ფანჯრის რაფა ცარიელია;
3. მასწავლებლის მაგიდა დგას მარცხენა მხარეს;	მასწავლებლის მაგიდა დგას მარჯვენა მხარეს;
4. მასწავლებლის მაგიდაზე წიგნები და კალმების ჩასაწყობია;	მასწავლებლის მაგიდაზე წიგნები და ლარნაკში ჩადებული ყვავილებია;
5. დაფის მარჯვნივ, კედელზე, არის ცხოველებისა და ფრინველების პოსტერი;	დაფის მარცხნივ არის მცენარეების პოსტერი;
6. დაფის მარცხნივ დგას კარადა;	კარადა დგას დაფის მარჯვნივ;
7. დაფის მარცხნივ ორთაროიანი კარადაა, მის პირველ თაროზე დგას შუქნიშნის მაკეტი, აწყვია წიგნები, მეორე თაროზე – გლობუსი და წიგნები.	დაფის მარჯვნივ დგას სამთაროიანი კარადა, მის პირველ თაროზე დევს ყუთი, მეორეზე წიგნები, მესამეზე – გლობუსი.

პირობა: რა სასკოლო ნივთებს ხედავთ სურათზე? (გვ. 13)



აქტივობა 3. პირველი (ან მეორე) საკლასო ოთახის შედარება საკუთარ საკლასო ოთახთან

შეკითხვების დახმარებით შეადარებინეთ მოსწავლეებს ერთ-ერთ სურათზე წარმოდგენილი საკლასო ოთახი თქვენს საკლასო ოთახს და აპოვნინეთ მსგავსება-განსხვავება. კითხვების დასმისას გაამახვილეთ ყურადღება სივრცით მიმართებებზე.

საორიენტაციო შეკითხვები:

აბა, შევადაროთ, რით ჰგავს ეს საკლასო ოთახი ჩვენსას, რით განსხვავდება მისგან:

- მწვანე დაფა გვაქვს?
- რა არის ჩვენი დაფის მარცხნივ? დაფის მარჯვნივ?
- ჩვენი ფანჯრები დაფის მარჯვნივ არის თუ მარცხნივ?
- და მისთ.

აქტივობა 4. ნივთების დაკავშირება სასკოლო ჩანთასთან

პირობა: ჩანთას ხაზებით დაუკავშირეთ მხოლოდ სასკოლო ნივთები (გვ. 12)



► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს სთხოვეთ, დააკვირდნენ სურათზე მოცემულ ნივთებს. ზოგიერთი სასკოლო ნივთია, ზოგიერთი – არა. ჩანთას ხაზებით დაუკავშირეთ მხოლოდ სასკოლო ნივთები.

ბ) მოსწავლეებს ჰკითხეთ, რა დანიშნულება აქვს თითოეულ ნივთს, რაში შეიძლება მათი გამოყენება. მაგალითად:

- რაში ვიყენებთ წიგნს? (წასაკითხად);
- რვეულს? (ჩასაწერად);
- კალამს/ფანქარს? (დასაწერად/დასახატად);
- წებოს? (ნაკეთობის დამზადებისას) და სხვა.

გ) შესაძლებელია, შეკითხვები დაუსვათ სურათზე გამოსახული ან კლასში არსებული ნივთების თვისებებზე/მახასიათებლებზე, მაგალითად:

- რა ფერისა და ფორმისაა ეს წიგნი?
- რა ფორმისა და ფერისაა ბურთი სურათზე? კიდევ რა არის მრგვალი?
- შეიძლება თუ არა, რომ ბურთი ბრტყელი იყოს, თეფში კი ბურთივით მრგვალი? რატომ?

§ 4. მოძრაობის მიმართულება


აქტივობა 1. თამაში „დამალული საგანძური“ (ორიენტაცია სივრცეში)
აქტივობა 2. დაკვირვება სურათზე: მარჯვენა და მარცხენა
აქტივობა 3. მიმართულების ამოცნობა და აღნიშვნა
აქტივობა 4. სივრცეში ორიენტირება
საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 სთ.

აქტივობა 1. მოძრაობების შესრულება მითითებების მიხედვით

მასწავლებელი დგება ბავშვების ზურგსუკან (რომ მისი მარჯვენა ბავშვის მარჯვენას დაემთხვეს). მასწავლებელი გასცემს ბრძანებებს: „აწიეთ მარჯვენა ხელი! გადადგით 2 ნაბიჯი წინ! მობრუნდით მარცხნივ!“ ბავშვები რეალურად მოძრაობენ კლასში.

თამაში „ციყვები“: ბავშვები განასახიერებენ ციყვს. „ციყვი ხტება მაღლა (ბავშვები ხტებიან), ციყვი ძვრება დაბლა (ბავშვები იკუზებიან), ციყვი გარბის მარჯვნივ (მიდიან მარჯვნივ)“, ციყვი გარბის მარცხნივ (მიდიან მარცხნივ).

აქტივობა 2. დაკვირვება სურათზე: მარჯვენა და მარცხენა (გვ. 14)



► ინსტრუქცია

დააკვირვეთ მოსწავლეები ილუსტრაციაზე და დაუსვით შეკითხვები სივრცით მიმართებებზე ყურადღების გამახვილებით.

? საორიენტაციო შეკითხვები:

- რა უჭირავს კესოს მარჯვენა ხელში?

- რა უჭირავს მარცხენა ხელში?
- რომელ მხარზე აზის ციო კესოს – მარჯვენაზე თუ მარცხენაზე?
- რა არის კესოს მარცხნივ?
- ბზის ბუჩქი კესოს მარჯვნივ არის თუ მარცხნივ?
- ბუ ნაძვის მარჯვენა ტოტზეა თუ მარცხენაზე?
- ყვავი ნაძვის მარჯვენა ტოტზეა თუ მარცხენაზე?
- რა არის კესოს წინ?
- რას ხედავთ კესოს ზევით?
- რა ცხოველია ბზის ბუჩქის ქვემოთ? ბუჩქის ზემოთ?

გ) გაავარჯიშეთ ბავშვები თავიანთ საკლასო ოთახზე დაკვირვების გზით.

- ვინ ზის გიოს მარჯვნივ? გიოს წინ? გიოს უკან?
- ვინ ზის ნათიას მარცხნივ?
- ფანჯრები თქვენგან მარცხნივ არის თუ მარჯვნივ? კარი რომელ მხარესაა?
- კიდევ რა არის მარჯვენა მხარეს?
- და მისთ.

აქტივობა 3. მიმართულების ამოცნობა და აღნიშვნა

პირობა: დააკვირდით და თქვით, რომელი ფერის ისარი რომელ მიმართულებას აღნიშნავს. (გვ. 13)

ნიმუში

ზევით ↑	მარჯვნივ →
ქვევით ↓	მარცხნივ ←

ახლა დააკვირდით, რა მიმართულებით მოძრაობენ ცხოველები და გააფერადეთ ისრები შესაბამისი ფერით. (გვ. 13)



► ინსტრუქცია

ა) მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ ფერადი ისრები მოძრაობის კონკრეტულ მიმართულებას აჩვენებს. ამისთვის დააკვირვეთ ამ ისრებზე და დაუსვით შეკითხვები:

- რომელი ფერის ისარი მიგვითითებს, რომ მოძრაობა ზევით არის მიმართული?
- რომელი ფერის ისარი მიგვითითებს, რომ მოძრაობა ქვევით არის მიმართული?
- მარჯვენა მიმართულებაზე რომელი ფერის ისარი მიგვითითებს?
- მარცხენა მიმართულებაზე?

ბ) მოსწავლეები დააკვალიანეთ გეზისმიმცემი შეკითხვებით. როდესაც გაიგებენ, რას ითხოვს აქტივობა, დაიცადეთ, რომ დამოუკიდებლად იმუშაონ. ბოლოს ერთობლივად შეაჯერეთ პასუხები.

? საორიენტაციო შეკითხვები:


- კაკლის ხის ტანზე დააკვირდით ციყვს. საით მოძრაობს? მაშ, რომელი ფერით უნდა გავაფერადოთ?
- შუაში რომელი ხე დგას? მარჯვნივ? მარცხნივ?
- კუ საით მიდის, – მარჯვნივ თუ მარცხნივ? მაშ, რომელი ფერით უნდა გავაფერადოთ ისარი? და მისთ.

§ 5. ვიმოგზაუროთ სკოლაში

აქტივობა 1. ილუსტრაციის აღწერა (სკოლა ჭრილში)
აქტივობა 2. მოძებნეთ, სად მიდის კესო, სად მიდის გიგი
- **შემოქმედებითი ტიპის დავალება**


საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 სთ.

აქტივობა 1. ილუსტრაციის აღწერა (სკოლა ჭრილში) (გვ. 15)



- **ამ ილუსტრაციის განხილვის შემდეგ მოსწავლეებთან ერთად მოაწყობთ ექსკურსიას სკოლაში.**

აქტივობა 2. მოძებნეთ, სად მიდის კესო, სად მიდის გიგი. (გვ. 14)




განმავითარებელი შეფასებისთვის (გვ. 15)

► ინსტრუქცია

1. მოსწავლემ უნდა იპოვოს, რომელ სხეულს რა აკლია; შემდეგ მიახატოს და აღწეროს ის ნაწილი *(საუბარი იმაზე, თუ რა ნივთია, რა ნაწილებისგან შედგება, რომელი ნაწილი აკლდა, რისთვის არის საჭირო ეს ნაწილი ან ნაწილები; სხვა თვისებებზე – რა ფორმა აქვს, რა ფერისაა, რა ზომის; სად დევს გიგისთან მიმართებით).* მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ თითოეული ნაწილი კონკრეტულ ფუნქციას ასრულებს და ყველა ნაწილი მნიშვნელოვანია.

2. თავდაპირველად მოახდინეთ აქტივობის მოდელირება – შეარჩიეთ და თავად აღწერეთ ერთი ნივთი: სად დევს, როგორია (ფერი, ზომა, ფორმა, სხეულის რა ნაწილები აქვს, რომელი ნაწილი აკლდა, რისთვისაა ის საჭირო).



? ნამუშევრის წარდგენისას დასასმელი საორიენტაციო შეკითხვები:

- ყვითელ ზურგჩანთას რა ნაწილი აკლდა?
- რისთვისაა საჭირო ეს ნაწილი?
- რაში ვიყენებთ ზურგჩანთას?
- კიდევ რა ნაწილები აქვს ზურგჩანთას?
- სად დევს ყვითელი ზურგჩანთა? (დააზუსტებინეთ ადგილმდებარეობა გიგისთან მიმართებით – მაგ., გიგის მარჯვნივ, გიგის მარცხნივ, გიგის წინ, გიგის უკან).

შესაძლებელია დამატებითი შეკითხვების დასმაც, მაგ., რა ფერია ნივთი, რა ზომისაა, როგორი ფორმა აქვს.

თავი 2. სკოლის ეზოში

გრძელვადიანი მიზნები
სამიზნე ცნება: ცოცხალი სხეული მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ სხვადასხვა ცოცხალ ორგანიზმს, მათ შორის, ადამიანსაც, ერთმანეთის მსგავსი სასიცოცხლო თვისებები (კვება, მოძრაობა, სუნთქვა, გამრავლება, ზრდა-განვითარება, ადაპტაცია) აქვს. **სამიზნე ცნება:** ჰაბიტატი მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ჰაბიტატი არის ცოცხალი ორგანიზმებისთვის არსებული გეოგრაფიული არეალი, სადაც თითოეული მათგანი ბინადრობს, მოიპოვებს საკვებს, მრავლდება, იზრდება და ვითარდება. საბინადრო გარემოს (ბუნებრივი და ხელოვნური გარემო) უდიდესი მნიშვნელობა აქვს თითოეული ორგანიზმისთვის. **სამიზნე ცნება:** ბუნებრივი მოვლენა მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ მოვლენა არის სამყაროში მიმდინარე ყოველგვარი ცვლილება.
შუალედური მიზნები
საკითხი: ეზოს ბინადრები **სამიზნე ცნება: ჰაბიტატი** ● შესწავლილი ცხოველების (ბუ, ციყვი, ყვავი, ჭიაყელა, ლოკოკინა, გომბეშო, ზღარბი) საბინადროს აღწერა; ● გარემოსთან მათი შეგუებულობის წარმოჩენა; ● გარმოსდაცვითი ღონისძიებების (მცენარის დარგვა, კომპოსტირება) დაგეგმვა და განხორციელება. **სამიზნე ცნებები: ცოცხალი სხეული, ბუნებრივი მოვლენები** ● შესწავლილი ცხოველების აღწერა-დახასიათება: სხეულის რა ნაწილები აქვთ, რისთვის იყენებენ, რით იკვებებიან, როგორ იცავენ თავს; ● შემოდგომასთან დაკავშირებული სეზონური ცვლილებების (გადამფრენი ფრინველები, ფოთოლცვენა) აღწერა. **შემოქმედებითი დავალება 1.** ნახატი: ჩემო ეზოს ბინადრები მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ცხოველი და მცენარე, რომლებიც ბინადრობს მის ან სკოლის ეზოში; დახატოს და წარადგინოს.

წარდგენისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს:

- რა ცხოველია, სხეულის რა ნაწილები აქვს, რისთვის აქვს;
- რით იკვებება;
- სად ბინადრობს;
- ღამის ცხოველია თუ დღის;
- რომელი მცენარე დახატა;
- მარადმწვანე მცენარეა თუ არა;
- როგორი ფოთოლი აქვს;
- აქვს თუ არა ნაყოფი.

შემოქმედებითი დავალება 2. ნახატები – რა მიყვარს ყველაზე მეტად შემოდგომაზე? (ეს დავალება მოსწავლეებს მიეცით წელიწადის ყველა დროსთან დაკავშირებით. სასწავლო წლის ბოლოს გაეცნობიან იაკობ გოგებაშვილის ტექსტს „ოთხი სურვილი“).

თუკი მოსწავლე მოისურვებს, შეიძლება ნახატზე წარწერები გააკეთებინოს მშობელს – მშობელი იქნება მისი „კალამი“: ნახატს დააწერს იმას, რასაც ბავშვი უკარნახებს. ეს ნახატები შეინახეთ და როცა მოსწავლეები კითხვას ისწავლიან, წააკითხეთ!

§1. ეზოს ბინადრების გაცნობა

აქტივობა 1. მარიამ წიკლაურის მოთხრობის, „პირველი დღე სკოლაში“, პირველი მონაკვეთის წაკითხვა

აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა

აქტივობა 3. მარიამ წიკლაურის მოთხრობის მომდევნო მონაკვეთის წაკითხვა

აქტივობა 4. ვარაუდების გადამოწმება, ახალი ვარაუდების გამოთქმა

აქტივობა 5. თამაში – სახალისო გამოცანების ამოცნობა

აქტივობა 6. სხეულის ნაწილების დაკავშირება შესაბამის ცხოველთან

აქტივობა 7. მარიამ წიკლაურის მოთხრობის მომდევნო მონაკვეთის წაკითხვა

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2-3 სთ.

აქტივობა 1. მარიამ წიკლაურის მოთხრობის, „პირველი დღე სკოლაში“, პირველი მონაკვეთის წაკითხვა

პირველი დღე სკოლაში

I მონაკვეთი

ციოს მერხი

ციომ სკოლის ეზოში ყველაზე მაღალი ნაძვი შეარჩია.

– მე აქ ავძვრები, ეს ნაძვი ჩემი მერხი იქნება. ხომ იცით, როგორი ცნობისმოყვარე და მოუსვენარი ვარ. აქედან მოვისმენ, რას გასწავლით მასწავლებელი. ეზოს ბინადრებსაც გავიცნობ. გემრიელ გირჩსაც გავაკნატუნებ. როცა გაკვეთილებს დაასრულებთ, ერთად წავიდეთ სახლში.

ციოს შერჩეული ნაძვი ბავშვების საკლასო ოთახის ფანჯრებთან ახლოს იდგა. იფიქრა, აქ ჩემ გარდა არავინ იქნებაო, მაგრამ შეცდა.

აქტივობა 2. ვარაუდების გამოთქმა

პირობა: როგორ გგონიათ, რომელი ცხოველები აღმოჩნდებიან ნაძვის ხეზე ან მის მეზობლად? შემოხაზეთ. (გვ. 16)



შენიშვნა: აუცილებლად მოინიშნეთ მოსწავლეთა პასუხები, რათა შემდგომში, ტექსტის წაკითხვისას გადამოწმდეს, რა დაემთხვა გამოთქმული ვარაუდებიდან და რა არ დაემთხვა.

აქტივობა 3. მარიამ წიკლაურის მოთხრობის მომდევნო მონაკვეთის წაკითხვა

ყვავი-ყვანჩალა და მისი მეზობლები
II მონაკვეთი

ციო ნაძვზე ახტა და უმალ კენწეროზე მოექცა.

– აქ რა გინდა, საიდან მოხვედი? ყვააა! – დაიჩხავლა ყვავმა.

– მე ციოს მეძახიან, პირველად ვარ ამ ხეზე. შენ გარდა ცხოვრობს აქ ვინმე? – ჰკითხა და თან გაიფიქრა, რადგან მხედავს, კეთილი გული ჰქონიაო.

– ამ ნაძვზეც და მეზობელ ხეებზეც ბევრი ბინადარია, მაგრამ ერთმანეთს არ ვაწუხებთ. არც შენ შეგვაწუხო! ჩუმად იყავი, ბავშვები კლასებში მეცადინეობენ და ხელი არ უნდა შევუშალოთ! დაიმახსოვრე, ციო ხარ თუ გოგრა, – ჩხაოდა ყვავი.

– მე ჩუმად ვარ, შენ ჩხავი! – ჩაილაპარაკა ციომ. ყვავმა ჩხავილი შეწყვიტა, ხმას დაუწია და განაგრძო:

– აი, იმ ჭადარზე, ჩვენგან მარცხნივ, დიდ ფუღუროში, ერთი ჭკვიანი ბუ ბინადრობს. დაბლა, ხის ძირთან ახლოს, ზღარბი, გომბეშო, კუ და ლოკოკინა ცხოვრობენ... მიწაში – ჭიაყელა. ჩვენგან მარჯვნივ, ცაცხვის ხეზე მოსწავლების მიერ დამზადებულ ჩიტის სახლში კი შოშიას აქვს ბუდე. ჩვენი შოშია თბილი ქვეყნებისკენ გაფრინდა და გაზაფხულამდე აღარ დაბრუნდება.

– რატომ არავინ ჩანს? – გაიკვირვა ციყვმა.

– მეზობლების ჩამოთვლა არ დამიმთავრებია, ყვააა, დამაცადე. ჭიანჭველები, ობობა, ჭიამაიებიც აქვე ბინადრობენ! – აღარ ჩერდებოდა ყვავი.

– მერცხალი არ ცხოვრობს აქ? მე ყველაზე მეტად მერცხალი მიყვარს. ძალიან მგავს, ის სულ დაფრინავს, მე კი სულ დავხტი. ბავშვებსაც ძალიან ვუყვარვართ, – თქვა ციომ.

– მერცხალს ნაძვზე რა უნდა?! – გაიკვირვა ყვავმა, – მერცხალი ადამიანებთან ახლოს, შენობებზე იკეთებს ბუდეს. აბა, სკოლის ფანჯარას დააკვირდი, ხედავ ბუდეს? მერცხლებისაა! აგვისტოს ბოლოს გაფრინდნენ და გაზაფხულზე დაბრუნდებიან თბილი ქვეყნებიდან.

– რა კარგია, ყველასთან ვიმეგობრებ!

– ყველასთან ვერ იმეგობრებ, ციყვო, ყვააა!

– რატომ? მეგობრობაზე ადვილი რაა?!

აქტივობა 4. ვარაუდების გადამოწმება, ახალი ვარაუდების გამოთქმა

- არ დაგავიწყდეთ ბავშვების ვარაუდების გადამოწმება – რომელი ცხოველები აღმოჩნდნენ ნაძვის ხეზე და მის მეზობლად?
- როგორ გგონიათ, რატომ უთხრა ყვავმა ციყვს, ყველასთან ვერ იმეგობრებო?

აქტივობა 5. თამაში – სახალისო გამოცანების ამოცნობა

მოისმინეთ გამოცანა და დაასახელეთ პასუხი. (გვ. 16)

ნაწვიმარზე გავლას რა სჯობს,
ზურგით დამაქვს ჩემი სახლი,
ღამით სეირნობაც მიყვარს,
მაღალ ხეზე ცოცვაც არ მღლის.
უხმო ვარ და უჩუმარი,
გზას აჩნია ჩემი კვალი,
ორი გრძელი საცეცი მაქვს,
საცეცებზე მიზის თვალი.
/ლოკოკინა/



ვინ დაძვრება ღამით ბაღში,
გეგონება, გორავს ბურთი?
ხელს ვერ ახლებ, იჩხვლიტება
ეკლიანი მრგვალი ზურგით.
ინადირებს ღამ-ღამობით
ხოჭოს, კალიებს და ხვლიკებს,
ვაშლით ისუფთავებს კანს და
ცივ ზამთრში ძილს არ იკლებს.

/ზღარბი/


სულ მოძრაობს, დაცოცავს,
პაწაწინა მწერი,
მიწაში აქვს ქალაქი,
ვერას აკლებს მტერი.
დიდ ტვირთს წამოიკიდებს,
გარჯა, შრომა უყვარს.
მშიერ მოძმეს თუ ნახავს,
უნაწილებს ლუკმას.

/ჭიანჭველა/

გამოცანების ავტორი მ. წიკლაური

აქტივობა 6. სხეულის ნაწილების დაკავშირება შესაბამის ცხოველთან

პირობა: დააკვირდით სხეულის ნაწილებსა და ცხოველებს. დაასახელეთ სხეულის ნაწილები. ნიმუშის მიხედვით ხაზით დაუკავშირეთ ისინი შესაბამის ცხოველებს. (გვ. 17)



► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს დაეხმარეთ სხეულის ნაწილების ამოცნობა-დასახელებაში;

ბ) წაახალისეთ, რომ ხაზებით დამოუკიდებლად დაუკავშირონ ნაწილები შესაბამის ცხოველებს;

გ) ერთობლივად შეამოწმეთ და შეასწორეთ პასუხები, თან დაუსვით შეკითხვები სხეულის ნაწილების დანიშნულების შესახებ:

- აბა, წრის გარშემო დახატული ცხოველებიდან რომელს აქვს ბრჭყალი? (ბუს, ყვავს)
- როგორ გგონიათ, რისთვის სჭირდებათ ბრჭყალები ამ ფრინველებს? *(იჭერენ თაგვებს და პატარა ცხოველებს, თავს იცავენ მტრებისგან, ხის ტოტზე დაჯდომისას ადვილად ეჭიდებიან ხის ტოტს და არ ვარდებიან; ასევე ძილის დროს ხის ტოტიდან არ ვარდებიან)*
- რომელ ცხოველებს აქვთ ნისკარტი? (ბუს, ყვავს)
- რომელ ცხოველებს აქვთ ფრთა? (ყვავს, ბუს, ჭიამაიას) რისთვის აქვთ ფრთები?
- რომელ ცხოველს აქვს საცეცები? (ლოკოკინას გრძელი საცეცები ბოლოვდება თვალით, ადვილად იკვლევს გზას გარემოში, მოკლე საცეცებით სუნს იგებს, სინჯავს, რაც შემოხვდება)

(ინფორმაცია მასწავლებლისთვის: ლოკოკინას თავზე აქვს 2 წყვილი საცეცი, ერთი წყვილი გრძელია, რომელიც ბოლოვდება თვალით. იგი არჩევს სინათლესა და სიბნელეს. მეორე წყვილი მოკლეა. იგი შეხებისა და ყნოსვის ორგანოა)

- რომელ ცხოველს აქვს ბაკანი? (კუს)
- რისთვის აქვს კუს ბაკანი? (კუ იმალება ბაკანში და თავს იცავს მტრისგან)
- რომელ ცხოველს აქვს ნიჟარა? (ლოკოკინას)
- რისთვის აქვს ლოკოკინას ნიჟარა? **(**ლოკოკინა საფრთხისას იმალება ნიჟარაში და თავს იცავს)

აქტივობა 7. მარიამ წიკლაურის მოთხრობის მომდევნო მონაკვეთის წაკითხვა

გახარებული ციო
III მონაკვეთი

ციო იმ ტოტზე დასკუპდა, რომელიც კესოს და გიგის კლასის ფანჯარასთან ყველაზე ახლოს იყო.

ხედავს, „ბუნების“ გაკვეთილი დაწყებულა!

ბუნება – ეს ხომ ისაა, რაც ციოსაც ძალიან უყვარს: ხეები, ტყეები, ყვავილები, ცხოველები, მზე, წვიმა, თოვლი... ვინ ჩამოთვლის, ბუნება ყველას სახლია. რა კარგია, რომ სკოლაში ბუნების შესახებ ასწავლიან! ბავშვები დიდი ინტერესით მოისმენენ „დედამიწის ამბებს“. ეს ნიშნავს, რომ სკოლაში სიარულიც შეუყვარდებათ!

– ნეტა სხვებმა იციან, რომ ბავშვებს ჩვენ შესახებ ასწავლიან? წავალ, ვკითხავ ეზოს ბინადრებს, მე მგონი, არ ეცოდინებათ. როგორ გავახარებ! – თქვა ციო ციყვმა.

§ 2. როგორ ცხოვრობენ სკოლის ეზოს ბინადრები

აქტივობა 1. ვარაუდების გამოთქმა
აქტივობა 2. ყვავის ნირის გაცნობა
აქტივობა 3. ბუს ნირის გაცნობა
აქტივობა 4. ღამის ცხოველები
აქტივობა 5. მარიამ წიკლაურის მოთხრობის მომდევნო მონაკვეთის წაკითხვა
აქტივობა 6. ვარაუდების გამოთქმა
აქტივობა 7. მარიამ წიკლაურის მოთხრობის მომდევნო მონაკვეთის წაკითხვა
აქტივობა 8. ვარაუდების გამოთქმა
აქტივობა 9. ჭიაყელას ნირის გაცნობა
დამატებითი აქტივობა – ლექსი „ბაღის ძიძა“
აქტივობა 10. სახალისო აქტივობა – დაეხმარე ჭიაყელას
აქტივობა 11. ცოდნის შეჯამება გამოცანებზე დაყრდნობით

პრაქტიკული დავალებები ეკოცნობიერების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად:
პრაქტიკული დავალება 1. როგორ ანოყიერებს მიწას ჭიაყელა?
პრაქტიკული დავალება 2. კომპოსტირება
დამატებითი აქტივობა – ჯადოსნური ამბის „როგორ გადაიქცა ბანანის ნაფცქვენი ვარდის ბუჩქად“ ზეპირად გადმოცემა სიუჟეტურ სურათებზე დაყრდნობით

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 5 სთ.

აქტივობა 1. ვარაუდების გამოთქმა

► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს გაახსენეთ, რა უთხრა ყვავმა ციყვს: ყველასთან ვერ იმეგობრებო! და შემდეგ უთხარით:

გაიხსენეთ და დაასახელეთ ცხოველები, რომლებიც შემოხაზეთ. როგორ გგონიათ, რომელ ცხოველებთან ვერ იმეგობრებს ციო? რატომ გგონიათ ასე?

ბ) ამის მერე უთხარით, რას გააკეთებთ ერთად:

ახლა ჩვენ გავეცნოთ ამ ცხოველებს და დავაკვირდეთ, *როგორ ცხოვრობენ, ცხოვრების როგორი წესი აქვთ, როგორი ნირი აქვთ, როგორი ჩვევები*. დავაკვირდეთ და ერთად გამოვარკვიოთ, რომელთან ვერ იმეგობრებს ციყვი ციო და რატომ.

მეთოდიკური შენიშვნა – „ნირი“ უცნობი ტერმინია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ იგი ჩავსვათ ნაცნობი სიტყვების კონტექსტში. ეს მოსწავლეს დაეხმარება ტერმინის მნიშვნელობის გაგებაში.

აქტივობა 2. ყვავის ნირის გაცნობა

► **ინსტრუქცია**


ა) წინარე ცოდნის გააქტიურება – რა იცით ამ ცხოველის შესახებ? საიდან იცით? რა გაგიგიათ?

ბ) დააკვირდით: სხეულის რა ნაწილები აქვს? (აღწერა) (გვ. 17)



- სხეულის რა ნაწილები აქვს?
- რით აქვს სხეული დაფარული?

გ) დააკვირდით: რით იკვებება? (გვ. 17)



დაასახელეთ სხეულის ნაწილები.

შემოხაზეთ მხოლოდ ყვავის სხეულის ნაწილები. (გვ. 18)



დ) დააკვირდით: რას აკეთებს დღისით? რას აკეთებს ღამით? (გვ. 18)





გ) ეს საინტერესოა! (გვ. 18-19)

► **ინსტრუქცია**

- ჰკითხეთ: ვინ იცის, რა ჰქვია ყვავის ხმიანობას? (ყრანტალი, ჩხავილი)
- მოუყევით შემდეგი ამბები:
- ყვავი საოცრად ჭკვიანი ფრინველია!
- **ინტერესის გამოწვევა:** ყვავს უყვარს კაკალი. **თქვენი აზრით,** როგორ ამტვრევს კაკალს?



როდესაც კაკალს პოულობს, იღებს ნისკარტით, აფრინდება, არჩევს ქვიან და ბრტყელი ზედაპირის მქონე კლდოვან ადგილს და ძირს აგდებს, კაკალი იმსხვრევა და ყვავი ჭამს ლებნებს.

როგორ გგონიათ, რატომ არჩევს ყვავი ქვიან და კლდოვან ადგილებს კაკლის ჩამოსაგდებად? რბილ ბალახზე რომ დაეცეს კაკალი, რა მოუვა? (მიწაზე და ბალახზე რბილად დავარდება და არ დაიმსხვრევა).

ინტერესის გამოწვევა: თურმე ყვავები ყრანტალით ერთმანეთს აცნობენ ამბებს. როგორ გგონიათ, რას აგებინებენ ყვავები ერთმანეთს ყრანტალით? დააკვირვეთ მოსწავლეები ილუსტრაციაზე და გამოათქმევინეთ ვარაუდები.




როდესაც ყვავი საკვებით მდიდარ ადგილს მიაგნებს, სხვა ყვავებსაც აგებინებს.

- ყვავები ადვილად იმახსოვრებენ და ასხვავებენ ადამიანებს. თუ მონადირეა და თოფი უჭირავს, უფრთხის და სხვა ყვავებსაც აგებინებს საფრთხეს. თუკი ვინმე ბოროტად მოექცა ყვავს, ის იმახსოვრებს, სხვა ყვავებსაც აგებინებს და სხვა ყვავებიც უფრთხიან.
- თუ ადამიანი საკვებს აწვდის, ყვავი იმახსოვრებს, მისი აღარ ეშინია და სხვა ყვავებსაც აგებინებს. ამ ადამიანთან შეუძლია ახლოს მიფრინდეს და დაუმეგობრდეს.

დ) დამოკიდებულების გამოხატვა – რით მოგეწონათ ეს ცხოველი? ყველაზე მეტად რამ დაგაინტერესათ?

გ) შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!

ყვავი







მაშ, რისთვის სჭირდება ყვავს:

- ფრთები?
- ბრჭყალები?
- ნისკარტი?
- ხმიანობა?

აქტივობა 3. ბუს ნირის გაცნობა

► **ინსტრუქცია**

ა) წინარე ცოდნის გააქტიურება

- რა იცით ბუს შესახებ? რა გაგიგიათ? საიდან? (მაგ., მულტფილმებიდან, წიგნებიდან, პირადი გამოცდილებიდან)

ბ) დააკვირდით: სხეულის რა ნაწილები აქვს? (აღწერა) (გვ. 20)




- რით აქვს სხეული დაფარული?


გ) დააკვირდით: რით იკვებება? (გვ. 21)



დააკავშირეთ: რით იკვებება ბუ (გვ. 19)



დ) დააკვირდით – რას აკეთებს დღისით? რას აკეთებს ღამით? (გვ. 22)





► ინსტრუქცია

გაამახვილეთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ბუ ღამის ცხოველია – ის ღამით აქტიურია, დაფრინავს, ნადირობს, დღისით კი ისვენებს.

გ) ეს საინტერესოა!


მოუყევით შემდეგი ამბები:

- **ინტერესის გამოწვევა:** ბუს თვალის კაკლები უძრავია, ჩვენსავით ვერ აცეცებს აქეთ-იქით! სამაგიეროდ რა შეუძლია მას, როგორ გგონიათ? (მას შეუძლია თითქმის მთლიანად შეაბრუნოს თავი ისე, რომ სხეული არ გაანძრიოს).

- **ინტერესის გამოწვევა:** ბუს ხშირად ყურები სხვადასხვა სიმაღლეზე აქვს თურმე. როგორ გგონიათ, რატომ? (ეს მას ეხმარება უმცირესი ხმაც კი გაიგონოს: მაგალითად, თაგვის სიარულის ხმა ფოთლების ქვეშ ან თოვლის ქვეშ. სწორედ ამის წყალობით, ბუს აქვს საოცრად კარგი სმენა, ჩვენს სმენაზე გაცილებით უფრო მახვილი).
- **ინტერესის გამოწვევა:** ბუს ისეთი ფრთები აქვს თურმე, რომ მისი ფრენა თითქმის სულ არ ისმის. როგორ გგონიათ, რისთვის სჭირდება მას უხმოდ ფრენა? (იმისთვის, რომ მოულოდნელად დაესხას თავის მსხვერპლს – თაგვებს ან სხვა პატარა ცხოველებს).

დ) დამოკიდებულების გამოხატვა – რით მოგეწონათ ეს ცხოველი? ყველაზე მეტად რამ დაგაინტერესათ?

აქტივობა 4. ღამის ცხოველები (გვ. 23)



► **ინსტრუქცია**

დააკვირდით და დაასახელეთ, რომელი ცხოველები იძინებენ დღისით და საქმიანობენ ღამით!

პირობა: გააფერადეთ მხოლოდ ღამის ცხოველები. (გვ. 20)



ამის შემდეგ ხელმეორედ გაახსენეთ მოსწავლეებს, რა უთხრა ყვავმა ციყვს: ყველასთან ვერ იმეგობრებო!

- თვითონ ციყვი დღისით საქმიანობს თუ ღამით?
- მაშ, რომელ ცხოველებთან ვერ იმეგობრებს? რატომ?

აქტივობა 5. მარიამ წიკლაურის მოთხრობის მომდევნო მონაკვეთის წაკითხვა

დინჯი ლოკო
IV მონაკვეთი

ციო ეზოში ლოკოკინას გადაეყარა.

– ლოკოკინა, გამარჯობა, გინდა, ძალიან კარგი ამბავი გახარო?– ჰკითხა ციყვმა.

– ამბავი? არა, არ მინდა, რაში გამომადგება ამბავი, წესიერად ვერც გხედავ, ცოტა ახლოს მოიწი, – ზანტად მიუგო ლოკოკინამ,– და თავს ზემოთ აშვერილი საცეცები აამოძრავა.

– რქებით ხედავ? – გაიკვირვა ციყვმა, – ეგ როგორ?

– მე თვალები აქ მაქვს, ამ ორ გრძელ საცეცზე. ქვედა ორი მოკლე საცეცით კი ვგრძნობ, სად ვარ და რა ხდება ჩემ გარშემო. შენ კეთილი ხარ, აი ჩემი მოკლე საცეცები ასე მანიშნებენ. მალე მიწაში ჩავძვრები და ფესვების ჰამაკში დავიძინებ. წამოდი შენც, ერთად გამოვიზამთროთ.

– რა დროს ზამთარი და ფესვების ჰამაკია, ლოკო, იცი, რომ სკოლაში ბავშვები შენ შესახებ სწავლობენ? რომ დასჭირდეთ შენი ნახვა, სად გნახონ?

– სწავლა რა არის, ჩემი ყურება?

– სწავლა არის კეთილი ჯადოქრობა. ბავშვები ცოდნას იღებენ ბუნების შესახებ. ბუნება ხომ ჩვენი საერთო სახლია?! სწავლობენ, რამდენნაირი ცხოველი ბინადრობს ბუნებაში, როგორი ნირი აქვთ, რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანებისთვის, გარემოსთვის.

– ციყვო, შენ რა ჩემი მეზობელი ჭიაყელასავით საუბრობ.

– ჭიაყელა რას ამბობს, რაო?

აქტივობა 6. ვარაუდების გამოთქმა

- როგორ გგონიათ, რას ამბობს ჭიაყელა?
- რა იცით მის შესახებ?

აქტივობა 7. მარიამ წიკლაურის მოთხრობის მომდევნო მონაკვეთის წაკითხვა

რა არის მთავარი?
V მონაკვეთი

ლოკოკინამ თავისი უცნაური ფეხით მიწაზე დააკაკუნა და სულ მალე მიწიდან ჭიაყელამ ამოყო თავი.

– გამარჯობა, ლოკო, რა ამბავია? – იკითხა ჭიაყელამ, – არ მიყვარს ზევით ამოსვლა. ბავშვებს ისე ეშინიათ ჩემი, მიწაში მირჩევნია ყოფნა. ათასი საქმე მაქვს თან.

– ძვირფასო მეზობელო, დიდხანს არ მოგაცდენთ, მოუსმინე ამ უცნაურ ციყვს, რაღაც უნდა გვითხრას.

– გამარჯობა, ჭიაყელავ. სკოლის ბავშვები, პირველივე კლასიდან, ჩვენ შესახებ სწავლობენ თურმე. მინდოდა თქვენთვისაც მეხარებინა.

– რა სჯობს, ისწავლონ, გაიცნონ ყველანი. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ეს დედამიწა მხოლოდ მათია. ჭიანჭველები და ჭიაყელები ადამიანებზე ბევრად მეტნი ვართ, იცოდი?

– არ ვიცოდი. თუმცა მთავარი ხომ რაოდენობა არაა? მთავარია, ვინ რას აკეთებს დედამიწისა და სხვების სასარგებლოდ! – თქვა ციომ.

– ჭიაყელები მიწის მომვლელები ვართ, ჩვენ რომ არ ვიყოთ, ნიადაგს ვინ გააფხვიერებს და გაამდიდრებს? მცენარეებს ვინ მიეხმარება ფესვის გაზრდაში? ვინ გამოკვებავს მათ? განა მხოლოდ ადამიანებს შიათ, მცენარეებსაც სჭირდებათ საკვების მომზადება. ჩვენ ვზრუნავთ მათზე. ჩინეთი გსმენია? ჩვენ ჩინელები „მიწის ანგელოზებს“ გვეძახიან! ჭიაყელები ვართ, მაგრამ დიად საქმეებს ვემსახურებით. გახსოვდეს – გარეგნობა მატყუარა რამაა. მთავარია, რა სიკეთეს აკეთებ, თუნდაც ჭიაყელა გერქვას!

ციყვი დაფიქრდა.

აქტივობა 8. ვარაუდების გამოთქმა

- როგორ ფიქრობთ, მართლა ეხმარებიან ჭიაყელები მცენარეებს, როგორ?
- მოდი ვნახოთ, როგორია ჭიაყელების ნირი.

აქტივობა 9. ჭიაყელას ნირის გაცნობა

► **ინსტრუქცია**

ა) წინარე ცოდნის გააქტიურება

- რა იცით ჭიაყელას შესახებ?

ბ) დაკვირდით: სხეულის რა ნაწილები აქვს ჭიაყელას? (აღწერა) (გვ. 24)





► **ინსტრუქცია**

- დაკვირვება – დააკვირვეთ, რომ ჭიაყელას აქვს რგოლებისგან აგებული სხეული;
- **ინტერესის გამოწვევა** – ჭიაყელას არც ფეხი აქვს, არც ფრთები. მაშ როგორ გადაადგილდება? რას ვეძახით ასე გადაადგილებას?
- ვიდეოს ნახვა, დასკვნის გამოტანა;


დ) რით იკვებება ჭიაყელა? (გვ. 24)



► **ინსტრუქცია**

- დაკვირვება – გამოთქვან დაკვირვების შედეგები;
- უთხარით: ჭიაყელები მიწის მცირე ნაწილაკებთან ერთად ათასგვარ ნარჩენებს, ჩამოყრილ დამპალ ფოთლებს მიირთმევენ და გადაამუშავებენ ყველაფერს, შედეგად კი ამდიდრებენ და ანოყიერებენ ნიადაგს. ასე რომ, ტანით პატარა ჭიაყელას დიდი სარგებლობა მოაქვს.
- საჭიროებისამებრ, ყურადღება შეაჩერეთ სიტყვაზე – „ნოყიერი“ – როგორი მიწაა ნოყიერი მიწა? როგორ მიწაზე ვიტყვით „ნოყიერიაო“ – ნოყიერია მიწა, თუ მასში ბევრია მცენარისთვის საჭირო საკვები. ასეთ მიწაზე მცენარეები კარგად იზრდება, კარგად ხარობს. იცით, რა ჰქვია არანოყიერ მიწას? (მწირი მიწა, გამოფიტული მიწა).

გ) ეს საინტერესოა! (გვ. 25)



- **ინტერესის გამოწვევა** – დააკვირდით სურათს და მოიფიქრეთ: რით, როგორ უწყობს ხელს ჭიაყელა მცენარეების გაზრდას?
- **ახსნა** – ჭიაყელებს ნიადაგში მრავალრიცხოვანი ხვრელები – გვირაბები გაჰყავს. გვირაბები ჰაერით ივსება, ხოლო წვიმის დროს წყლით ივსება. წყალი და ჰაერი კი მცენარეების ზრდას უწყობს ხელს.
- **ვარაუდების გამოთქმა:** ჭიაყელები წვიმის დროს ზედაპირზე ამოდიან. თქვენი აზრით, რატომ?
- **ვარაუდების გადამოწმება:** იმიტომ, რომ წვიმის დროს გვირაბები წყლით ივსება, ჭიაყელა კი წყალში ვერ სუნთქავს. (ინფორმაცია მასწავლებლისთვის – ჭიაყელები სხეულის ზედაპირით სუნთქავენ, ჰაერიდან ითვისებენ ჟანგბადს. ისინი წყლიდან ვერ ითვისებენ ჟანგბადს და ზემოთ ამოდიან).

დ) დამოკიდებულების გამოხატვა – რით მოგეწონათ ეს ცხოველი? ყველაზე მეტად რამ დაგაინტერესათ?

? საორიენტაციო შეკითხვები:

- რა გაიგეთ ახალი ჭიაყელას შესახებ?
- გაიხსენეთ ჭიაყელას ნათქვამი: „მთავარია, რა სიკეთეს აკეთებ, თუნდაც ჭიაყელა გერქვას“. თქვენი აზრით, რას ნიშნავს „სიკეთის კეთება“? (სხვის დახმარებას, სასარგებლო საქმის კეთებას);
- როგორ ფიქრობთ, სწორია თუ არა ჭიაყელა? რატომ ფიქრობთ ასე?
- გაიხსენეთ, როდის დაგხმარებიათ ვინმე – როდის გაუკეთებია ვინმეს თქვენთვის სიკეთე? (დამაზუსტებელი კითხვები: რაში გჭირდებოდათ დახმარება? როგორ/რით დაგეხმარნენ?);
- რას გრძნობდით ამ დროს? (გაგიხარდათ, მადლიერი იყავით და მისთ.);
- თქვენ თუ დახმარებიხართ სხვას, თუ გაგიკეთებიათ სიკეთე სხვისთვის? (დამაზუსტებელი კითხვა: რაში დაეხმარეთ სხვას?).


დამატებითი აქტივობა: შეგიძლიათ ბავშვებს მარიამ წიკლაურის ეს ლექსი წაუკითხოთ და შეასწავლოთ

ბაღის ძიძა


აი, თურმე ვინ ზრდის ხეებს,
ვინ უმზადებს წვნიანს, კომპოსტს,
დღე და ღამე ფესვებს ასმევს
ჰაერის და წყლის ტკბილ კომპოტს.
ვინ და ჩვენი ჭიაყელა –
ბაღის მზარეული, ძიძა,
ნიადაგს და მიწას უვლის,
მცენარეზე ზრუნავს, იცავს.
აფხვიერებს, ანიავებს მიწას,
ფესვიც კარგად სუნთქავს,
ხეც იზრდება და ყვავილობს,
უხარია ჩიტს და ფუტკარს.

აქტივობა 10. სახალისო აქტივობა – დაეხმარეთ ჭიაყელას

დაეხმარეთ ჭიაყელას მიწიდან ამოძრომაში (გვ. 21)



ყოველ ჯერზე შეარჩიეთ ჭიაყელას ფერის ფანქარი და გააფერადეთ მის მიერ გაკვალული გზა. (გვ. 21)



ცოდნის შეჯამება

დამატებითი აქტივობა – **გამოცანების გამოცნობა**

პირობა: მოუსმინეთ გამოცანებს. ამოიცანით ცხოველები და შემოხაზეთ. (გვ. 22)



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს წაუკითხეთ გამოცანები, ჯერ ამოიცნონ, რომელი ცხოველია, შემდეგ უპასუხონ თქვენს შეკითხვებს.

გამოცანა 1. დიდთავა და დიდთვალება ღრუს და ნაპრალს ვირჩევ ბინად. ღამით მიყვარს ნადირობა, მზე თვალს მჭრის და დღისით მძინავს. თაგვს ბრჭყალს გავკრავ, ვინადირებ, მესმის მისი ხმა და ჩქამი, საუცხოო სმენა მაქვს და ფრენაც ვიცი ქარზე ჩქარი. **/ბუ/**	**შეკითხვები:** ● საიდან მიხვდით, რომ ბუა? ● რას გვეუბნება ეს გამოცანა ბუს ცხოვრების ნირზე? ● დაასახელეთ სამი რამ! (დღისით სძინავს, ღამით ნადირობს, კარგი სმენა აქვს, სწრაფად დაფრინავს, ნადირობს თაგვებზე); ● რას ნიშნავს „ჩქამი" (ხმა, რომელიც თითქმის არ ისმის); ● მართლა შეუძლია ბუს ჩქამის გაგონება? რატომ?
გამოცანა 2. არც კბილი აქვს, არც ეშვები, სხეული აქვს წვრილი, გრძელი, უფხვიერებს ფესვს ნიადაგს, შრომობს ასე მთელი წელი. „მიწის ანგელოზი“ ჰქვია, მისი გარჯა არ ჩანს თითქოს, თითისტოლას შეძლებია ხეებს მიწა გაუმდიდროს. **/ჭიაყელა/**	**შეკითხვები:** ● საიდან მიხვდით, რომ ჭიაყელაა? ● რას გვეუბნება ეს გამოცანა, რა სარგებელი მოაქვს ჭიაყელას?

გამოცანა 3. გრძელნისკარტა, ზამთარ-ზაფხულ მაღალ ხეზე ვბუდობ, შავი. ჭკვიანიც ვარ, თუმც ვერ ვგალობ, მხოლოდ ვყრანტალებ და ვჩხავი. **/ყვავი/**	**? შეკითხვები:** • საიდან მიხვდით, რომ ყვავია? • რას გვეუბნება ეს გამოცანა ყვავის შესახებ? როგორია ყვავი? • რა ჰქვია ყვავის ხმიანობას? *გამოცანების ავტორი მ. წიკლაური*

პრაქტიკული დავალებები

ქვემოთ მოცემულია ორი მნიშვნელოვანი დავალება მოსწავლეთა ეკოლოგიური ცნობიერების გამოსაღვიძებლად.

ეს დამატებითი პრაქტიკული დავალებები (ექსპერიმენტი), სურვილისამებრ, შეიძლება შესრულდეს სკოლაში ან სახლში, მშობლის თანამონაწილეობით.

პრაქტიკული დავალება 1. როგორ ანოყიერებს მიწას ჭიაყელა?

ამ დავალების შესრულებით მოსწავლეები საკუთარი თვალით აღმოაჩენენ, თუ როგორ გარდაქმნის ჭიაყელა ნარჩენებს ნოყიერ მიწად.

ამ ექსპერიმენტის მიზანია, ბუნებაში, კერძოდ კი, ნიადაგისთვის ჭიაყელას როლის მნიშვნელობის გააზრება და დასკვნების გამოტანა ხანგრძლივი დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით.

► ინსტრუქცია



- აიღეთ ქილა. მასში ფენა-ფენა ჩაყარეთ:
- ღია ფერის ქვიშა;
- 10-20 ცალი მიწიდან აკრეფილი ფოთოლი;
- ჩასვით 6-8 ჭიაყელა;
- ჩაყარეთ მიწა;
- ჩააწყვეთ ერთი სტაფილოს ან ვაშლის ნათალი;
- ჩაყარეთ წვრილი კენჭების ფენა;
- ზემოდან მოასხით ნახევარი ჭიქა წყალი.

1. ამგვარად შევსებულ ქილას გადაუღეთ ფოტო;
2. გადააკარით ქილას 3-4 ფენა მარლის ნაჭერი და დააფიქსირეთ რეზინით;
3. დადგით ქილა თბილ და ბნელ ადგილას (მაგ., გადააფარეთ მუყაოს კოლოფი და დადგით გამათბობელთან ან მოათავსეთ კარადაში);
4. ორი კვირის შემდეგ გამოიღეთ ქილა, დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს და გადაუღეთ ფოტო.

5. დროდადრო ჩაყარეთ ქილაში ერთი გათლილი ვაშლის წვრილად დაჭრილი კანი, დაამატეთ ქილაში ცოტაოდენი წყალი;
6. კვლავ დადგით ბნელ ადგილას და ყოველი კვირის ბოლოს გადაამოწმეთ ქილის შიგთავსის მდგომარეობა;
7. 2-3 თვის შემდეგ აღწერეთ, როგორ შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში ქილის შიგთავსის მდგომარეობა, შეადარეთ მიღებული შედეგი პირველ სურათზე აღბეჭდილ მდგომარეობას;
8. დაკვირვების დასრულების შემდეგ ქილა შეინახეთ გაზაფხულამდე – ჭიაყელები გარეთ რომ გაიყვანოთ, ზამთრის სიცივეს ვერ გაუძლებენ და დაიღუპებიან. ქილაში მიწა რომ არ გამოშრეს, დროდადრო დაამატეთ ცოტაოდენი წყალი – გამომშრალ მიწაში ჭიაყელები დაიღუპებიან!

რეკომენდაცია: გაზაფხულზე კლასთან ერთად საზეიმოდ გაიტანეთ ქილის შიგთავსი ეზოში. ყვავილნარში მიწა ოდნავ გადაბარეთ ან გადაატარეთ ფოცხი გაფხვიერების მიზნით, შემდეგ მიმოფანტეთ ქილის შიგთავსი. ამ აქციას დაარქვით „ჭიაყელების ბუნებაში დაბრუნების“ ცერემონია ან სხვა მსგავსი სახელი.

პრაქტიკული დავალება 2. კომპოსტირება

ინფორმაცია მასწავლებლისთვის

კომპოსტი არის მხოლოდ ბუნებრივი ნედლეულისგან მიღებული ორგანული სასუქი, რომელიც წარმოიქმნება ორგანული ნარჩენების ბუნებრივი დაშლისა და გარდაქმნის შედეგად. კომპოსტის გამოყენება ხელს უწყობს არსებული ნიადაგის გაუმჯობესებას, მცენარეების გაძლიერებულ ზრდას და უხვმოსავლიანობას.

კომპოსტირება ადვილად შესასრულებელი აქტივობაა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, წარმოადგენს ნარჩენების მართვის საუკეთესო გზას. კომპოსტის დამზადება-გამოყენებით მოსწავლე პერსონალურ წვლილს შეიტანს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში და ნაგავსაყრელების ფართობის შემცირებაში. შედეგად, ნაგვის ნაცვლად მივიღებთ საუკეთესო სასუქს ჩვენი ეზოს მცენარეებისთვის.

ამ ტიპის საქმიანობა დააახლოებს მოსწავლეებს ბუნებასთან, გაუღვივებს ბუნებაზე ზრუნვის მოთხოვნილებას და დაეხმარება გააცნობიეროს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ბუნების დაცვის საქმეში.

სასურველია, მასწავლებელმა ეს ინფორმაცია მშობლებსაც გაუზიაროს.

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება:

► **ინსტრუქცია**

- გაახსენეთ მოსწავლეებს, რომ ჭიაყელები ათასგვარ ნარჩენებს გადაამუშავებენ და ამით ამდიდრებენ, ანოყიერებენ ნიადაგს – ასეთი ნიადაგიდან მცენარეები კარგად იკვებებიან და ხარობენ.

- როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ამ სასარგებლო საქმიანობაში დავეხმაროთ ჭიაყელებს? როგორ? (ეს შესაძლებელია, თუ საჭმლის ნარჩენებს ნაგავში კი არ გადავყრით, არამედ ჭიაყელებს გადავამუშავებინებთ).
- ახლა ერთად ვნახოთ, ეს როგორ არის შესაძლებელი! ამისთვის ჩვენ უნდა მოვამზადოთ „კომპოსტი“. რა არის კომპოსტი? აი, ერთად მოვამზადოთ და ერთად გავარკვიოთ, რა არის კომპოსტი!

აქტივობა 2. კომპოსტისთვის ვარგისი და უვარგისი ნარჩენები

დააკვირდით ნახატს, როგორ ფიქრობთ, ამ ნარჩენებიდან რომლის გადამუშავებას შეძლებს ჭიაყელა?

პირობა: შემოხაზეთ ის ნარჩენები, რომლებიც შეიძლება ჭიაყელამ გადაამუშავოს. (გვ. 23)



► ინსტრუქცია

- ჰკითხეთ მოსწავლეებს: წვრილად რომ დავჭრათ ეს ნარჩენები და მიწაში ჩავყაროთ, თქვენი აზრით, რომლის გადამუშავებას შეძლებს ჭიაყელა? შემოხაზეთ და მერე ერთად გავარკვიოთ სწორი პასუხები.
- ბავშვები შემოხაზავენ და შედეგს ერთად შეაჯერებთ.

ინფორმაცია მასწავლებლისათვის: მხოლოდ ბუნებრივი ნაჭრისგან დამზადებული ტანსაცმელია კომპოსტისთვის ვარგისი.

აქტივობა 3. ყავისფერი და მწვანე ნარჩენები

ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

კომპოსტის შემადგენლობაში შედის შემდეგი კომპონენტები:

ყავისფერი	მწვანე	წყალი	ჰაერი
ქაღალდის ნაკუწები, მუყაოს ნაკუწები, ხმელი თივა, ხმელი ფოთლები, ხის ტოტები, ყავის ნალექი, ნახერხი, ჩაის პაკეტები	ხილის და ბოსტნეულის განათალი კანი, ბალახი, საჭმლის ნარჩენები (ხორცისა და ძვლების გარდა), კვერცხის ნაჭუჭი	წყლის ზომიერი რაოდენობა, რომ შენარჩუნდეს ტენი	ნარჩენები ისე უნდა ჩაიყაროს, რომ მათ შორის ჰაერი მოძრაობდეს

თუმცა, პირველ ეტაპზე ბავშვებს ვასწავლოთ მხოლოდ ე.წ. **ყავისფერი** და **მწვანე** ნარჩენების გამორჩევა სახლში არსებულ სხვა ნარჩენებს შორის.

პირობა: მწვანე ფანქრით შემოხაზეთ მწვანე ნარჩენები; ყავისფერი ფანქრით - ყავისფერი ნარჩენები. (გვ. 23)



► **ინსტრუქცია**

- მოსწავლეებს აუხსენით, რომ ნარჩენები შეიძლება ორად დავყოთ: მწვანე ნარჩენები და ყავისფერი ნარჩენები. შემოხაზეთ ყავისფერი ფანქრით, რომელი შეიძლება იყოს ყავისფერი ნარჩენი, მწვანით კი – მწვანე ნარჩენი.
- პასუხები ერთობლივად გადაამოწმეთ.

აქტივობა 3. კომპოსტის დამზადება

უთხარით მოსწავლეებს:

„ბავშვებო, მოდით, ჩვენი სკოლის ეზოში ყველამ ერთად მოვაწყოთ პატარა ჯადოსნური ყუთი (კომპოსტისთვის). სკოლაში შეჭმული ბანანის თუ ვაშლის ნარჩენებს ნაგავში კი არ გადავყრით, არამედ ამ ყუთში ჩავყრით, რათა მიწა გამოვკვებოთ. კვირაში ერთხელ, ბუნების გაკვეთილზე, ერთად გავალთ ეზოში, ჯოხით მოვურევთ და დავაკვირდებით, რა ხდება. ეს იქნება ჩვენი კლასის საერთო საიდუმლო ბაღი!“

კომპოსტირების ეტაპები:

ნაბიჯი 1. საკომპოსტედ შეარჩიეთ ეზოში ადგილი, რომელიც არ იქნება მზის გულზე. ამოთხარეთ ორმო (რომელსაც მომავალში უსაფრთხოების თვალსაზრისით შემოღობავთ) ან გაამზადეთ ხის მაღალი ყუთი.

ნაბიჯი 2. შეაგროვეთ ხილის და ბოსტნეულის ნათალები, ხის ფოთლები, ხმელი ტოტები, კვერცხის ნაჭუჭი, შეიძლება კონტეინერში მორჩენილი საჭმლის ნარჩენებიც, ქაღალდის ნაკუწები, მუყაო, ნახერხი.

რეკომენდაცია: ბავშვებმა დაამტვრიონ ხის ჩამოცვენილი ტოტები, დაკუწონ ქაღალდი და მორწყან კომპოსტის ორმო. მნიშვნელოვანია, მათ თავი იგრძნონ პროცესის თანამონაწილედ.

ნაბიჯი 3. კომპონენტები ფენა-ფენა უნდა განლაგდეს. მწვანე და ყავისფერი ნარჩენების ჩაყრა ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს. ყავისფერი ნარჩენები აერაციას, ანუ ბუნებრივ ვენტილაციასაც უზრუნველყოფს.

აცნობეთ ბავშვებს, რომ ამ ადგილისკენ მთელი ეზოდან გამოიქცევიან ჭიაყელები. ისინი დაეხმარებიან მათ მიერ ჩაყრილ ნარჩენებს, რომ სასარგებლო ნოყიერ მიწად გადაიქცნენ. ასე რომ, კომპოსტის დამზადებით ნარჩენები, რომელთა გადაყრას ვაპირებდით ნაგავში, მცენარეებისთვის საყვარელ საკვებად გარდაიქმნება.

ბავშვებისთვის ეს ჯადოსნობას ჰგავს!

დააკვირდით ილუსტრაციებს და მოყევით, როგორ შეიძლება გავხდეთ ბუნების მცველები „ჯადოსნური“ ნარჩენების გამოყენებით.

ნაბიჯი 4. კომპოსტი ზომიერად მორწყეთ წყლით. პერიოდულად გაიყვანეთ ბავშვები, მოურიეთ ჯოხით, საჭიროების შემთხვევაში, მორწყეთ (არ უნდა გამოშრეს) და დააკვირდით ცვლილებებს.

ნაბიჯი 5. კომპოსტს დროდადრო დახედეთ ხოლმე. სავარაუდოდ, მზად იქნება გაზაფხულისთვის. ხანგრძლივი დაკვირვება კარგი მაგალითი გახდება, ასევე, მოთმინების უნარის გამოსამუშავებლადაც.

ნაბიჯი 6. გაზაფხულისთვის შესაძლებელია მოსწავლეთა მონაწილეობით შემოიბაროს მცენარეთა ძირები და პატარა სათლებით კომპოსტი მოეყაროს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს იმის გაცნობიერებაში, თუ როგორ შეუძლიათ საკუთარი ძალისხმევით შექმნან ის, რაც ხელს უწყობს მცენარეების უკეთ ზრდას და უბიძგებს მათ, მომავალში ეს ცოდნა თავიანთ ეზოში ან ბაღ-ბოსტანში გამოიყენონ.

დამატებითი აქტივობა

ამბის ზეპირად გადმოცემა სიუჟეტურ სურათებზე დაყრდნობით (გვ. 26)

ინფორმაცია

სიუჟეტური ნახატების სახით გადმოცემული ამბავი ხელს შეუწყობს მიწოდებული ინფორმაციის ვიზუალიზების პროცესს, რაც დაეხმარება მოსწავლეებს ნასწავლის განმტკიცებაში, კომპოსტირების ნაბიჯების თანმიმდევრობის ცხადად გააზრებაში მათთვის ყველაზე ბუნებრივი გზით – სიუჟეტური ამბის შეთავაზებით. ამას გარდა, ამბის ზეპირად გადმოცემა სიუჟეტურ სურათებზე დაყრდნობით ხელს შეუწყობს მოსწავლეთა თხრობის უნარების განვითარებას, აუმაღლებს მედიაწიგნიერების დონეს (ვიზუალური ინფორმაციის სიტყვიერ ინფორმაციად გარდაქმნის გზით).

► **ინსტრუქცია**

1. დააკვირვეთ მოსწავლეები სიუჟეტურ სურათებზე და მათზე გამოსახულ დეტალებზე შეკითხვების დასმის გზით.

? საორიენტაციო შეკითხვები:

- რას ვხედავთ პირველ სურათზე – რას აკეთებს გოგონა, რას აკეთებს დედა? რა დევს მაგიდაზე? სად არიან ისინი?
- რას ვხედავთ მეორე სურათზე – რას აკეთებს გოგონა, რას აკეთებს დედა? სად არიან ისინი? ბანანის ქერქის გარდა, რას ვხედავთ კომპოსტის ორმოში – რის ნარჩენებს ხედავთ? საკვები პროდუქტების ნარჩენების გარდა, კიდევ რა აწყვია კომპოსტის ორმოში? რომელია მწვანე ნარჩენები, რომელი – ყავისფერი? (დაასახელეთ)
- რას ვხედავთ მესამე სურათზე – რას აკეთებენ გოგონა და დედა? რატომ?
- რას ვხედავთ მეოთხე სურათზე – როგორაა შეცვლილი კომპოსტი? რა ცხოველებს ვხედავთ კომპოსტში? რას აკეთებენ ისინი – ეხმარებიან მცენარეებს თუ არა? რა მცენარეს ვხედავთ კომპოსტის ზემოთ? მოჩანს თუ არა ჩვენი ნაცნობი ბანანის ნაფცქვენი? სად? რა „ჯადოსნური სამუშაო“ შეასრულა მან?

2. სთხოვეთ მოსწავლეებს, გადმოსცენ ამბავი სიუჟეტურ სურათებზე დაყრდნობით. იმისთვის, რომ თხრობა სახალისო და საინტერესო გახდეს, შესთავაზეთ მოსწავლეებს თხრობა გაგრძელებებით: თხრობას იწყებს ერთი მოსწავლე (პირველ სურათზე დაყრდნობით), განაგრძობს მეორე (მეორე სურათზე დაყრდნობით), შემდეგ – მესამე (მესამე სურათზე დაყრდნობით) და ბოლოს, თხრობას ასრულებს მეოთხე მოსწავლე (მეოთხე სურათზე დაყრდნობით).

ამბის თხრობა შეიძლება დაიწყონ ასე: „ერთ დღეს ...“. მომდევნო სურათებზე გადასვლისას თითოეულმა მოსწავლემ თხრობა შეიძლება განაგრძოს ასე: „ამის შემდეგ...“, „მერე“, „ბოლოს/გაზაფხულზე...“. ამ სიტყვების გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება კომპოსტირების ნაბიჯების (შესაბამისად, თხრობის ეტაპების) თანმიმდევრობის გააზრებაში.

„როგორ გადაიქცა ბანანის ნაფცქვენი ვარდის ბუჩქად“



§ 3. ფერადი შემოდგომა

აქტივობა 1. სურათის აღწერა (ფოთოლცვენა)

მოძრავი თამაში – ფოთოლი ქარში;

აქტივობა 2. წყვეტილი ხაზების გამთლიანება (ჰაერის უხილავი ტალღები)

აქტივობა 3. დაკვირვება შემოდგომის ფოთლებზე

აქტივობა 4. გააფერადე შემოდგმის ფოთლები

აქტივობა 5. შემოდგომის ფოთლების დახარისხება

აქტივობა 6. ფოთლის ჩახატვა

აქტივობა 7. ფოთლის ძარღვების დანიშნულების გაცნობიერება ანალოგიის საფუძველზე

აქტივობა 8. ფოთოლი – მცენარის მზარეული

აქტივობა 9. საგანთშორისი კავშირები: შემოქმედებითი სახელოსნო

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 4 სთ.

აქტივობა 10. შემოდგომის ხილის ამოცნობა

აქტივობა 11. სურათის აღწერა (კაკლის ბერტყვა, ხილის კრეფა)

აქტივობა 12. ციყვი ციოს და კომშის ხის დიალოგის მოსმენა-გაგება, ვარაუდების გამოქმა;

აქტივობა 13. სურათის აღწერა (რთველი)

აქტივობა 14. მ. წიკლაურის ლექსი „რთველში"

აქტივობა 15. გაფერადება, ლექსიკური ცოდნის განმტკიცება

აქტივობა 16. იმ ხილის ამოცნობა და გადახაზვა, რომელსაც არ იყენებენ ჩურჩხელას დამზადებისას

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 სთ.

აქტივობა 17. ტაქტილური გამოცანები

აქტივობა 18. რითმოცანები

დავალება – ნახატის შექმნა: რა მომწონს ყველაზე მეტად შემოდგომაზე

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 2 სთ.

სულ – 8 სთ.

აქტივობა 1. სურათის აღწერა (ფოთოლცვენა)

პირობა: დააკვირდით სურათებს და აღწერეთ. (გვ. 27)




► ინსტრუქცია

შეკითხვებით მიმართეთ მოსწავლეთა ყურადღება შემოდგომის მოვლენაზე – ფოთოლცვენაზე და ქარზე.

- რას ხედავთ სურათზე? რით არის მოფენილი არემარე? (შემოდგომის ფოთლებით)
- როგორ ახსნით თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს „ფოთოლცვენა“?
- წელიწადის რომელ დროს ხდება ფოთოლცვენა?
- დააკვირდით მეორე სურათს, როგორი ამინდია? საიდან ხვდებით?
- სურათზე ძლიერი ქარია თუ სუსტი?
- ვინ იცის, რა ჰქვია ძლიერ ქარს? (გრიგალი)
- ნიავი სუსტი ქარია თუ ძლიერი? (სუსტი ქარია)
- სუსტ ქარს კიდევ რა ჰქვია? (სიო)
- რა განსხვავებაა სიოსა და ნიავს შორის? (სიო წამოუბერავს და გაჩერდება, ხოლო ნიავი სულ ქრის)
- რატომ ირხევა ხე ქარში? (ხეს ჰაერის ტალღები არხევს)
- ვხედავთ თვალით ჰაერის ტალღებს? (ვერ ვხედავთ, უხილავია თვალისთვის).
- რატომ დაფრინავს ფოთლები ქარში?
- მაშ, ქარი უწყობს ხელს ფოთოლცვენას?

მოძრავი თამაში – ფოთოლი ქარში

მოძრავი თამაშისას შეიძლება ეს აქტივობა გამოიყენოთ:

ბავშვები „ფოთლები“ არიან,


მასწავლებელი არის „ქარი“,

როცა ქარი ნელია – ბავშვები ნელა მოძრაობენ,
როცა ქარი ძლიერია – სწრაფად „დაფრინავენ“,
როცა ქარი ჩერდება – ვარდებიან მიწაზე (საკლასო ოთახში – სხდებიან სკამებზე).

რეკომენდაცია მასწავლებელს: ქარის სიჩქარის გამოსახატად შეიძლება სხვადასხვა ტემპის მუსიკის ფრაგმენტების გამოყენება.

აქტივობა 2. წყვეტილი ხაზების გამთლიანება (ჰაერის უხილავი ტალღები)

პირობა: წყვეტილ ხაზებს გააყოლეთ ფანქრის წვერი და გაამთლიანეთ. (გვ. 24)



► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებს ჯერ პირთან მიატანინეთ ხელი და უთხარით:

– მიიტანეთ ხელი პირთან, ღრმად ჩაისუნთქეთ და მაგრად ამოისუნთქეთ. რა იგრძენით? (ეს ჰაერის ტალღააა, მაგრამ ჰაერს თვალით ვერ ვხედავთ). ეს ხვეული ხაზები ჰაერის უხილავ ტალღებს აღნიშნავს. – რას ნიშნავს, რომ ტალღები უხილავია? მაშ ხილვა რა ყოფილა?

ბ) როგორ გგონიათ, ჰაერი რომ არ იყოს, ადამიანი იცოცხლებს? ცხოველი? მცენარე?

შეაჯამეთ: სიცოცხლისათვის ჰაერი ყველას სჭირდება: უჰაეროდ ვერც ადამიანი იცოცხლებს, ვერც ცხოველი და ვერც მცენარე – მცენარე გახმება და დაჭკნება!

გ) დააკვირდით ამ ხვეულ ხაზებს, ისინი ჰაერის უხილავ ტალღებს აღნიშნავს. გააყოლეთ ფანქრის წვერი და გაამთლიანეთ.

აქტივობა 3. დაკვირვება შემოდგომის ფოთლებზე

პირობა: დააკვირდით სურათს და დაასახელეთ, რა ფერისა და ფორმის ფოთლებს ხედავთ. როგორია ფოთლის კიდეები? (გვ. 28)



► **ინსტრუქცია**

დააკვირვეთ მოსწავლეები სურათზე და დაუსვით შემდეგი შეკითხვები ჯერ ფერებზე, შემდეგ ფორმებზე:

ფერებზე:

- რა ფერის ფოთლებია? კიდევ? (სავარაუდოდ, ყველა ფერის დასახელებას ვერ შეძლებენ, ამიტომ შეკითხვებით დაეხმარებით)
- რომელია ნარინჯისფერი ფოთოლი? ვარდისფერი?
- რომელია ჭრელი ფოთოლი?

ფორმებზე

- რომელია გულის ფორმისა? წრის ფორმისა, მრგვალი?
- თუ გახსოვთ, რომელ ხეს აქვს დიდი ფოთლები? (ლეღვს, ვაზს)

კიდის ფორმაზე:

საკლასო ოთახში მოიტანეთ ერთი კიდემთლიანი, ერთი დაკბილული და ერთი დანაკვთული ფოთოლი. აჩვენეთ დაკბილული ფოთლის კიდე და დააკვირვეთ, როგორ ჰგავს ხერხის პირს. დაუზუსტეთ – აი, ასეთ ფოთოლს უწოდებენ დაკბილულს. შემდეგ დანაკვთული ფოთოლი აჩვენეთ და უთხარით – ნახეთ, ამ ფოთოლს თითქოს თითები აქვს. ასეთს ჰქვია დანაკვთული ფოთოლი.

- რომელია დაკბილული ფოთოლი?
- გინახავთ ასეთი ფოთოლი? სად?
- რომელია დანაკვთული ფოთოლი?
- გინახავთ ასეთი ფოთოლი? სად გინახავთ? რომელ ხეზე?
- კიდევ რა შეიძლება იყოს დაკბილული? დანაკვთული?
- რომელია კიდემთლიანი ფოთოლი?

ინფორმაცია მასწავლებლისთვის: კიდემთლიანია, როდესაც ფოთლის კიდე სრულიად გლუვია და მთლიანი. ასეთი ფოთოლი აქვს დაფნას, ლიმონს, მანდარინს, იასამანს.

აქტივობა 4. გააფერადეთ შემოდგომის ფოთლები;

პირობა: გააფერადეთ ფოთლები შემოდგომის ფერებით (გვ. 25)



აქტივობა 5. შემოდგომის ფოთლების დახარისხება

რესურსი: შემოდგომის ფოთლები: მოსწავლეებთან ერთად (ან მათ გარეშე) შეაგროვეთ შემოდგომის ფოთლები და მიიტანეთ საკლასო ოთახში.

► **ინსტრუქცია**

ა) მოსწავლეებმა ფოთლები უნდა დაახარისხონ ფერების მიხედვით, ამის შემდეგ დაასახელებინეთ ფერები.

ბ) შეგროვებული ფოთლებიდან შეარჩიეთ ორი-სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ფოთოლი, თითო-თითო აჩვენეთ მოსწავლეებს და შეადარებინეთ სურათზე მოცემულ ფოთლებს ფერისა და ფორმის მიხედვით. ამისთვის დაუსვით შეკითხვები:

- სურათზე მოცემული ფოთლებიდან რომელი ჰგავს ამ ფოთოლს?
- რით ჰგავს – ფორმით თუ ფერით?
- როგორი ფერისაა? როგორი ფორმისაა?

აქტივობა 6. ფოთლის ჩახატვა

პირობა: დააკვირდით, რა ფორმის ფოთოლი უნდა იყოს უჯრაში და ჩახატეთ.



აქტივობა 7. ფოთლის ძარღვების დანიშნულების გააზრება

პირობა: დააკვირდით მინიშნებას და სცადეთ გამოიცნოთ, რისთვის აქვს ფოთოლს ძარღვები. (გვ. 29)



► ინსტრუქცია

მოსწავლეები დააკვირვეთ მიმანიშნებელ ილუსტრაციაზე და გამოათქმევინეთ ვარაუდები ფოთლის ძარღვის დანიშნულების შესახებ, უთხარით: „– სცადეთ გამოიცნოთ, რისთვის აქვს ფოთოლს ძარღვები, რაში იყენებს მათ.“

პასუხი: ფოთლის ძარღვები ფოთლის საწრუპი მილივითაა – ამით ფოთოლი წყალს სვამს. ფესვები მიწიდან წყალს იწოვს. ეს წყალი ღეროთი მაღლა ადის, შემდეგ სწორედ ამ პატარა ძარღვებით, ანუ მილებით სვამს ფოთოლი წყალს.

აქტივობა 8. ფოთოლი – მცენარის მზარეული

პირობა: ფოთოლს „მცენარის მზარეული“ უწოდეს. დაკვირდით სურათს და გამოიცანით: რისგან „ამზადებს“ ფოთოლი საკვებს მცენარისთვის. (გვ. 29)



► **ინსტრუქცია**

ინტერესის გამოწვევა: მოსწავლეები დააკვირვეთ სურათზე; უთხარით, რომ ფოთოლს უწოდებენ „მცენარის მზარეულს“ – ის ამზადებს საკვებს ხისთვის.

ინტერესის გამოწვევა:

- თქვენი აზრით, რისგან ამზადებს მცენარე ამ საკვებს? (როდესაც ფოთოლი მზეს ეფიცხება, წყლისა და ჰაერისაგან მზის სხივების / სინათლის გამოყენებით ამზადებს უხილავ საკვებს.
- როგორ ფიქრობთ, რით აწვდის ფოთოლი ამ საკვებს მცენარეს? (ძარღვებით, ანუ თავისი საწრუპით დამზადებულ საკვებს აწვდის ღეროს და ფესვებს. ხე იზრდება და ძლიერდება).
- მაშ, რატომ უწოდეს ფოთოლს „მცენარის მზარეული“?

აქტივობა 9. საგანთშორისი კავშირები – შემოქმედებითი სახელოსნო

წიგნი: მხიარული ფოთლები

პირობა: დააკვირდით თანატოლების ნამუშევრებს. რისგან გააკეთეს ცხოველები? ამოიცანით, რა ცხოველებია. (გვ. 30)



მეთოდიკური კომენტარი


ძალიან კარგი იქნება, თუ ბუნებაში შემოდგომის ფოთლებზე მუშაობისას ხელოვნების მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს შემოქმედებითი ნამუშევრების – აპლიკაციის, კოლაჟის – შექმნას შემოდგომის ფოთლებითა და სხვადასხვა ნაყოფით (მაგ., რკოებით, წაბლით, ხმელი ტოტებითა და სხვ.). აქვე გთავაზობთ ნიმუშებს.

როცა მოსწავლეები დაასრულებენ შემოქმედებითი პროდუქტების შექმნასა და გამოფენას, გარკვეული დროის შემდეგ, შესაძლებელია, მოაწყოთ „ბუნებისთვის ფოთლების დაბრუნების რიტუალი“.

მოსწავლის შეკითხვაზე: „რა ვუყოთ იმ ფოთლებს, რომლებიც ზედმეტი დაგვრჩა ან გამოფენის შემდეგ გახმება? უპასუხეთ: – წაიღეთ ისინი კომპოსტის ყუთში. აუხსენით: „ჩვენი ნახატები გაგვახარებს, ხოლო დანარჩენი ფოთლები მიწაში წავა, რათა მომავალ წელს ხეებმა კიდევ უფრო ლამაზი ფოთლები მოისხან“.


აქტივობა 10. შემოდგომის ხილის ამოცნობა

პირობა: დააკვირდით და დაასახელეთ, რა ხილია. (გვ. 31)



აქტივობა 11. სურათის აღწერა (გვ. 32-33)





- რას ხედავთ პირველ სურათზე, რას აკეთებენ? ვინ არიან?
- მეორე სურათზე? ვინ არიან? რას აკეთებენ?
- შემოდგომაზე ხილი თუ დაგიკრეფიათ ან თუ გინახავთ, როგორ კრეფენ ხილს? რომელი ხილის კრეფას შესწრებიხართ?
- თუ დაკვირვებიხართ, შემოდგომაზე ხეებიდან ხილს რომ ჩამოკრეფენ, შემდეგ რა მოსდის ხეს?

აცადეთ მოსწავლეებს, გამოთქვან მოსაზრებები. დაეხმარეთ გეზისმიმცემი შეკითხვებით (ხე შიშვლდება, იძარცვება ფოთლებისგან და ზამთრის ძილისთვის ემზადება).

აქტივობა 12. ციყვი ციოს და კომშის ხის დიალოგის მოსმენა-გაგება

– კომშის ხეო, რა გეშველება, ფოთლები რომ გცვივა, ვინ გაგიმზადებს საკვებს? ისინი ხომ შენი მზარეულები არიან?

პაუზა ვარაუდების გამოსათქმელად:

მოსწავლეებს ვარაუდები გამოათქმევინეთ: როგორ გგონიათ, როგორ ძლებს ხე

მთელ ზამთარს „მზარეული ფოთლების“ გარეშე? ძილის დროს ჩვენ ვიკვებებით? ანუ საჭმელს ვჭამთ თუ არა ძილის დროს?

ამის შემდეგ განაგრძეთ ტექსტის კითხვა:

– მე ჩემებური „ფულურო“ მაქვს – საკვებს ღეროსა და ფესვებში ვინახავ, გაზაფხულამდე მყოფნის... ზამთარში ვისვენებ. ზაფხულში კი ვმუშაობ, ნაყოფს ვამწიფებ. როცა მწიფე ნაყოფს ადამიანებს მივართმევ შემოდგომაზე, მერე ზამთრის ძილისკენ მივდივარ. მიწიდან წყალს თითქმის აღარ ვიწოვ. აღარც ვიზრდები და ცოტა საკვებიც მყოფნის გაზაფხულამდე... – ხე ისე ნელა ლაპარაკობდა, ეტყობოდა, რომ უკვე ეძინებოდა.

– მაშ, ძილი ნებისა უნდა გისურვო, კომშის ხეო? – ჰკითხა ციომ.

– მისურვე, ციყვო. ხეებს ტკბილი და ღრმა ძილი გვიყვარს. სიზმრებში გაზაფხულებს ვხედავთ.

– როცა გამოიღვიძებ, ზამთრის ამბებს მოგიყვები. ძილი ნებისა, ხეო! – თქვა ციყვმა და ხიდან დაბლა ჩამოხტა. ძირს ყვითელი ფოთლები მოფენილიყო.

აქტივობა 13. სურათის აღწერა

პირობა: აღწერეთ სურათი. (გვ. 34-35)



- რას აკეთებენ პირველ ილუსტრაციაზე? (ყურძენს კრეფენ);
- რა ჰქვია შემოდგომაზე ყურძნის კრეფას, ყურძნის მოსავლის აღებას? (რთველი)
- რა ჩანს მეორე სურათზე, რაში იწურება ყურძნის მტევნები? (საწნახელში)
- თქვენ თუ მიგიღიათ მონაწილეობა რთველში? სად? ვისთან ერთად?
- მესამე სურათზე რა ჩანს – რა არის ეს დიდი ჭურჭელი? (ქვევრი)
- რაში იყენებენ ქვევრს? რა ჩანს მეოთხე სურაზე? (საწნახელიდან ღარით ყურძნის წვენი ქვევრში იღვრება – ქვევრში ღვინოს აყენებენ);
- სადმე თუ გინახავთ ქვევრი? სად?
- ბოლო სურათზე რა ჩანს, რას აკეთებენ? (ჩურჩხელებს)
- რაში ამოავლებენ ნიგვზის ასხმულებს? (თათარაში)
- კიდევ რა ჩანს, რისი ასხმულებია ჩამოკიდებული?
- თქვენ თუ გინახავთ, როგორ მზადება ჩურჩხელა? თუ მიგიღიათ მონაწილეობა ჩურჩხელების ამოვლებაში?

- ვის უყვარს ჩურჩხელა? თხილის ჩურჩხელა უფრო გიყვართ თუ ნიგვზისა?

აქტივობა 14. ლექსის მოსმენა, მოსმენილის გამეორება

რთველში


გადაყვითლდა ტყე და ველი,
შემოდგომის მზიან დარებს
მე და ჩემი მეგობრები
სოფლად, რთველში გავატარებთ.
ჩიტს – კიმპალი, ჩვენ – მტევანი,
ხარობს ვენახი და ქვევრი,
თათარაში ამოვავლეთ
ჩურჩხელები, ბევრზე ბევრი.

► **ინსტრუქცია**

დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რას უნდა ნიშნავდეს „კიმპალი“? (ყურძნის მტევნის მხარი, რომელზეც მხოლოდ ორი-სამი მარცვალია).
- რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „კიმპალაობა“? (ვენახში დარჩენილი მარცვლების მოგროვება)

აქტივობა 15. გაფერადება, ლექსიკური ცოდნის განმტკიცება (გვ. 26)



► **ინსტრუქცია**

ლექსიკური ცოდნის განსამტკიცებლად დაუსვით შეკითხვები:

- რა გააფერადეთ – მტევანი თუ კიმპალი?
- რომელი ფერით გააფერადეთ კიმპალი? ვაზის ფოთლები?
- ვაზის ფოთლებში რომელი ცხოველები კიმპალაობენ?

აქტივობა 16. გადახაზეთ ის ხილი, რომელსაც არ იყენებენ ჩურჩხელას დამზადებისას (გვ. 26)



შემოხაზეთ მწვანედ ის ხილი, რომელიც შემოდგომაზე მწიფს. (გვ. 27)



აქტივობა 17. ტაქტილური გამოცანები

მოათავსეთ ხილი (მაგ., ყურძენი, მსხალი, მანდარინი, ფორთოხალი, ლეღვი, კარალიოკი, მსხალი, წაბლი, ლიმონი და სხვ.) გაუმჭვირვალე ჩანთაში.

მოსწავლემ ხელის შეხებით უნდა გამოიცნოს, რომელია.

გაკვეთილის ბოლოს დააგემოვნებინეთ მოსწავლეებს ხილი. თითოეული ნარჩენი (ყურძნის ყუნწი, მანდარინის კანი, მსხლის გული) ბავშვებმა თავადვე უნდა მოათავსონ კომპოსტის პატარა კონტეინერში.

აქტივობა 18. რითმოცანები

პირობა: მოისმინეთ მარიამ წიკლაურის რითმოცანები, გამოიცანით შემოდგომის რომელი ხილია და გააფერადეთ. (გვ. 27)



შემოდგომის გვირგვინი და სიმდიდრეა უცვლელი, მისი წვენით ავსებულა ყველა ქვევრის მუცელი, ღვინოს, ბადაგს და ჩურჩხელას გვჩუქნის მწიფე------- / **ყურძენი/**	ის ჩინებული ციტრუსია – მომჟავო და მოტკბო ხილი. აჭარიდან, გურიიდან ქალაქებში ჩატანილი. ნარინჯისფერ კანს გაფცქვნი და ესეც შენი---/**მანდარინი/**
საუცხოო სურნელი აქვს, ფართე ყვავილს ისხამს ნორჩიც, ნაყოფი მწიფს გვიან, თუმცა არ ფუჭდება მოკლე დროში. თუ გახველებს, წამალია, მოხარშე და ჭამე------ **/კომში/**	მას ყოველ დღე წამალივით უნდა ჭამდეს დიდიც, ბავშვიც. ზოგი ჩირად შეინახავს, ზოგი თაროებზე გაშლის. გემრიელი, სასარგებლო წლის სამყოფი ხილი ----- **/ვაშლი/**
ციყვი უმს ჭამს, ჩვენ კი ვხარშავთ, ყავისფერ კანს ვაცლით, შემოდგომით ხიდან ცვივა, გეგონება ზღარბი. ეკლის ჩენჩო გასძვრება და ხელში გრჩება ------/**წაბლი/.**	არცერთ სხვა ხილს ის არა ჰგავს, არც მკვახე, არც მოწეული, შემოუკრავს სავსე ტანზე ატლასი და ძოწეული. ლალის მარცვლებს წითლად გვაყრის გახლეჩილი ------ **/ბროწეული/**
ვერ კრეფენ და ჯოხსა სცემენ ხეა ისე მაღალი, ლებანი აქვს გემრიელი, ნაჭუჭი კი მაგარი. ვერც გოზინაყს გააკეთებ, თუ არ გექნა ------/**კაკალი/**	

დავალება – ნახატის შექმნა: მოსწავლემ უნდა დახატოს, რა მოსწონს ყველაზე მეტად შემოდგომაზე (ფოთოლცვენა, რთველი, ხილის კრეფა, ჩიტების გადაფრენა, შემოდგომის ფოთლების შეგროვება, ჩურჩხელების ამოვლება და სხვა);

შენიშვნა: მსგავსი ნახატი შესრულდება წელიწადის ყველა დროზე. თუკი მოსწავლე მოისურვებს, შეიძლება ნახატზე წარწერები გააკეთებინოს მშობელს – მშობელი იქნება მისი „კალამი“: ნახატს დააწერს იმას, რასაც ბავშვი უკარნახებს. ეს ნახატები შეინახეთ და როცა მოსწავლეები კითხვას ისწავლიან, წააკითხეთ!

მოსწავლეთა ნახატები გამოფინეთ და ერთობლივად განიხილეთ: ვის რა მოსწონს ყველაზე მეტად შემოდგომაზე!

ეს ნამუშევრები აუცილებლად შეინახეთ. როცა წელიწადის ყველა დროს გაივლით, საერთო გამოფენას მოაწყობთ. შეგიძლიათ, წიგნადაც შეკრათ.

§ 4. მცენარეების დარგვის დღე

აქტივობა 1. ვარაუდების გამოთქმა, შემზადება ტექსტის მოსასმენად, განწყობითი მზაობის შექმნა

აქტივობა 2. მ. წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის „ნიავი ახალ ამბავს ჰყვება“ მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

აქტივობა 3. განწყობითი მზაობის შექმნა

აქტივობა 4. მ. წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის „ხეების დარგვის დღესასწაული“ მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

აქტივობა 5. გაფერადება

აქტივობა 6. ვარაუდების გამოთქმა როლური გათამაშებით, ცოდნის განმტკიცება

აქტივობა 7. მ. წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის „ვინ რას ამბობდა“ მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

აქტივობა 8. წყვეტილი ხაზების გამთლიანება და ნახატის გაფერადება

აქტივობა 9. მ. წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის – „რა ვაჩუქოთ პატარა ხეებს“ – მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

აქტივობა 10. მ. წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის – „რა ვაჩუქოთ პატარა ხეებს“ – მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

აქტივობა 11. „საჩუქარი პატარა ხეებს“.

შემოქმედებითი დავალება: ნახატის შექმნა: ჩემი ეზოს ბინადრები

მოსწავლისთვის დასასმელი შეკითხვების ბანკი

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 4 სთ.

აქტივობა 1. ვარაუდების გამოთქმა, შემზადება ტექსტის მოსასმენად, განწყობითი მზაობის შექმნა

პირობა: დააკვირდით სურათს. ეზოს ბინადრებს ნიავმა ამბავი მოუტანა. ზოგს გაუკვირდა, ზოგს გაუხარდა. როგორ გგონიათ, რა ამბავი გაუხარდებოდათ მათ? გამოთქვით თქვენი აზრი. (გვ. 36)



► **ინსტრუქცია**

უთხარით მოსწავლეებს, რომ ეზოს ბინადრებს ნიავმა რაღაც ამბავი მიუტანა. დააკვირვეთ ისინი ილუსტრაციაზე და გამოათქმევინეთ ვარაუდები.
ჰკითხეთ:

- აბა, დააკვირდით ეზოს მცენარეებს, ცხოველებს, ღრუბლებს. როგორ გუნებაზე არიან?
- როგორ გგონიათ, რა შეიტყვეს ახალი მათ ნიავისგან?
- აბა, ახლა ვნახოთ და მოვისმინოთ, რა მოხდა!

აქტივობა 2. მარიამ წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის „ნიავი ახალ ამბავს ჰყვება“ მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

ნიავი ახალ ამბავს ჰყვება

უცნაური ციყვის გამოჩენის ამბავი მთელ ეზოს მოსდო ნიავმა. სკოლის ეზოს ყველა ბინადარს, ყველა ხესა და ბუჩქს აინტერესებდა ციყვი ციოს გაცნობა.

– ამდენი წელია, სკოლის ეზოში ვდგავარ და პირველად მესმის, რომ ჩემ შესახებ წიგნში წერია და ბავშვები სწავლობენ, – გაბარჯღულ ტოტებს არხევდა ცაცხვი.

– არც მე ვიცოდი! არც მე!.. – გაიძახოდნენ ნაძვი, ფიჭვი, ჭადარი, ბზა და სურო.

– ნეტა ჩვენ შესახებაც სწავლობენ? – ეჩურჩულებოდა ვარდი ქრიზანთემას.

– რას წარმოვიდგენდი, რომ ქარებსა და ღრუბლებზე წიგნში ეწერებოდა?! მზეზე და მიწაზეც წერია რამე მაგ წიგნში? – ეკითხებოდა გაკვირვებული ღრუბელი ნაძვს.

ნაძვს გაეცინა: – ღრუბელო, ჩვენ ხომ ყველანი ერთმანეთთან ვართ დაკავშირებული, აუცილებლად ეწერება!

– როგორი ცნობილი ვყოფილვართ! – მხიარულად ჟივჟივებდნენ ბეღურები.

– ნეტა ჩვენც დავდიოდეთ სკოლაში, რამდენ რამეს ვისწალიდით! – ღუღუნებდნენ ეზოში გუნდად შეკრებილი მტრედები.

? **შეკითხვები:**

- ყველაზე მეტად რომელი პერსონაჟის პასუხი მოგეწონათ? რატომ? რით მოგეწონათ?
- როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს გაბარჯღული ტოტები? როგორ ხეს წარმოიდგენთ, სიტყვა „გაბარჯღული“ რომ გესმით? (განტოტვილი, ტოტებად გაშლილი)
- თუ გინახავთ სადმე გაბარჯღული ხე? სად? თქვენი სკოლის ეზოში თუ არის გაბარჯღული ხე?
- როგორ გგონიათ, რომელი ცხოველის რქებზე შეიძლება ითქვას, გაბარჯღული? (ირმის)

აქტივობა 3. განწყობითი მზაობის შექმნა

უთხარით მოსწავლეებს:

- ახლა წაგიკითხავთ ტექსტს ასეთი სათაურით: „ხეების დარგვის დღესასწაული“.
- როგორ გგონიათ, რაზე იქნება ეს ტექსტი?

? დამატებითი შეკითხვები:

სად მოეწყობა ეს დღესასწაული? ვინ მოაწყობს?

აცადეთ ბავშვებს ვარაუდების გამოთქმა – ეს მათ ტექსტის მოსმენის მოტივაციას აუმაღლებს. მოინიშნეთ ვარაუდები, რათა მერე შეადაროთ, რომელი იყო ტექსტთან მიახლოებული.

აქტივობა 4. მარიამ წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის „ხეების დარგვის დღესასწაული“ მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

ხეების დარგვის დღესასწაული

ციომ დღესაც პირველმა შეიტყო ახალი ამბავი! შემოდგომის დღესასწაული ეწყობა – „ხის დარგვის დღე“!

– თქვენ და მშობლები ერთად დარგავთ ხეებს! – უხსნიდა მასწავლებელი პირველკლასელებს.

– ერთად? რა კარგია! – გაუხარდათ ბავშვებს.

– რადგან ხეები ჩვენი კეთილი მეგობრები არიან, ჩვენ ისინი უნდა დავრგოთ, გავახაროთ და მოვუაროთ. ხეები სუფთა ჰაერს და სიგრილეს გვაჩუქებენ!

– როდის დავრგავთ? მალე დავრგავთ? – გაისმოდა ბავშვების შეკითხვები.

– მასწავლებელო, მე მამამ მითხრა, რომ ხეები და ტყეები რომ არ იყოს, არც წყალი გვექნებოდა, არც სუფთა ჰაერი, არც ბალახი და ყვავილები.

– ნამდვილად ასეა! მაშ, პარასკევს ბუნების გაკვეთილი სკოლის ეზოში ჩაგიტარდებათ, მანამდე კი მოვემზადოთ.

? ტექსტის წაკითხვის შემდეგ დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები:

- თქვენ თუ დაგირგავთ ხე? ან თუ გინახავთ სადმე, როგორ რგავენ ნერგებს? სად? ვინ? როდის?
- ჩვენც ხომ არ დავრგოთ ხეები ჩვენი სკოლის ეზოში? ხომ არ დავგეგმოთ ასეთი დღე?

აქტივობა 5. გაფერადება

პირობა: გააფერადეთ. (გვ. 28)



აქტივობა 6. ვარაუდების გამოთქმა როლური გათამაშებით, ცოდნის განმტკიცება

პირობა: ეზოს ყველა ბინადარმა გაიგო, რომ სკოლის ეზოში ხეები უნდა დარგონ. დააკვირდით სურათს, მოირგეთ ერთ-ერთი პერსონაჟის როლი და თქვით, რას იტყოდა ის, რით და როგორ იზრუნებდა პატარა მცენარეებზე. (გვ. 37)



► ინსტრუქცია

მოსწავლეებს უთხარით, რომ სკოლის ეზოში ციომ ყველას გააგებინა ხეების დარგვის ამბავი. რაკი იმ დღეს ყველა კეთილი სურვილით იყო ანთებული, ყველას მოუნდა თავისებურად ეზრუნა ახალდარგულ მცენარეებზე.

ა) აცადეთ მოსწავლეებს, შეარჩიონ ერთ-ერთი პერსონაჟი (**1. ყვავი, 2. ლოკოკინა; 3. ბეღურები; 4. ჭიაყელა; 5. ღრუბელი, 6. ნიავი, 7. მზე),** დაფიქრდნენ და წარმოთქვან, რას იტყოდა მის მიერ შერჩეული პერსონაჟი.

ამის შემდეგ განაგრძეთ ტექსტის ხმამაღლა და გამოთქმით წაკითხვა.

აქტივობა 7. მარიამ წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის „ვინ რას ამბობდა“ მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

ვინ რას ამბობდა

ყვავმა პირველმა დაიჩხავლა: მე დავიცავ ახალ ნარგავებს და ყველას დავაფრთხობ, ვინც მათ მიეკარებაო.

ლოკოკინამ დაიჩურჩულა: როდესაც გავიღვიძებ, გაზაფხულზე ფოთლებს არ დავაზიანებო.

ბეღურებიც აჟივჟივდნენ: რომც გვშიოდეს, მაგათ კვირტსა და ნეკერს ნისკარტს არ დავაკარებთო.

ჭიაყელა მიწიდან ამოძვრა და თქვა: ფესვები რომ ადვილად გაიდგან, მე პატარა ნერგებს მიწას გავუფხვიერებო.

ღრუბელმა თქვა: მე მოვალ და ახალ ნარგავებს დავაწვიმებო.

ნიავმა თქვა: მე ქარ-დედას ვეტყვი, ძლიერად არ იქროლოს, სანამ ფესვებს მოიმაგრებენო.


მზე სხივების ფრქვევით თითქოს ამბობდა: მე სითბოს და სინათლეს არ მოვაკლებო!

ციყვი ციო აქეთ-იქით დახტოდა და გაიძახოდა: ესეც მიწა, ესეც წყალი, ესეც ჰაერი, ესეც მზე, რა კარგია, ყველაფერი გვაქვს ჩვენი ნერგებისთვისო!

ჭიაყელამ თქვა: მზე, ჰაერი, წვიმა და მიწა – ეს ოთხი ერთგული დედა[1] ყველა ნერგს გაახარებს და გაზრდისო.

იდეა დამატებითი აქტივობისთვის: შეიძლება მოსწავლეებს სასკოლო საზეიმო დღისთვის პატარა სპექტაკლი დაადგმევინოთ.

აქტივობა 8. წყვეტილი ხაზების გამთლიანება და ნახატის გაფერადება (გვ. 29)
პირობა: გააყოლეთ ფანქრის წვერი წყვეტილ ხაზებს, გააფერადეთ ნახატი.



1 ბუნების ოთხი საწყისის მოსწავლეთათვის ოთხ დედად წარმოდგენის იდეა ეკუთვნის ზ. ვახანიას (იხ. ქართული ენის შემოქმედებითი სწავლება, 2023)

აქტივობა 9. მარიამ წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის – „რა ვაჩუქოთ პატარა ბაღს“ – მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა (გვ. 38)

პირობა: დააკვირდით და დაასახელეთ თქვენთვის ნაცნობი მცენარეები.



მცენარეთა სახელებია:
მაგნოლია, მუხა, მიმოზა, ბროწეული, ნუში, ბზა, ნაძვი, იასამანი, ვარდი, ფიჭვი.

► **ინსტრუქცია**

ამ ილუსტრაციებზე დაყრდნობით წარმართეთ ინტერაქცია.

საორიენტაციო შეკითხვები:

- რომელი მცენარე გეცნოთ? რა ჰქვია ამ მცენარეს?
- რა ჰქვია ამ ხის ნაყოფს?
- რომელი ხეებია მარადმწვანე?
- რომელი მცენარე მოგწონთ ყველაზე მეტად?
- რომელი გინდათ, რომ დაირგოს თქვენს ეზოში? სკოლის ეზოში?

აქტივობა 10. მარიამ წიკლაურის ტექსტის მომდევნო ნაწილის – „რა ვაჩუქოთ ახალდარგულ ბაღს“– მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა

რა ვაჩუქოთ ახალგაშენებულ ბაღს?

ხეების დარგვის დღეც დადგა. დილიდან ჟრიამულია სკოლის ეზოში. ბავშვებს თავიანთი პატარა ნიჩბები მოემარჯვებინათ. მშობლებმა ნერგები მოიტანეს, ორმოები გაამზადეს, ყველას უხაროდა კეთილი საქმის გაკეთება. რგავდნენ, რწყავდნენ, თავს დასტრიალებდნენ პატარა ნერგებს. ზოგმა ყვავილების თესლიც მოიტანა და მიწაში ჩათესა.

კესოს და გიგის ბაბუები აფხაზეთიდან იყვნენ, ამიტომ მიმოზებისა და მაგნოლიის ნერგები შეარჩიეს. ნიკას მამა და დედა სამაჩაბლოდან არიან. მათ მუხის, ბროწეულისა და ნუშის ნერგები მოიტანეს. ლალის დედ-მამამ იასამნის ბუჩქი ჩარგო, თაკოს მამამ – ბზის ნერგი. კესანეს დედამ კი ნაძვი და ფიჭვი დარგო.

მასწავლებელმა თქვა: სანამ თქვენ სკოლას დაამთავრებთ, აქ ახალი ბაღი იშრიალებს – თქვენი გაშენებული ბაღი და ის პატარა ტყესავით იქნებაო!

ძველი ხეებიც მზრუნველად უყურებდნენ ახალ ნარგავებს. ციო სუყველას ფეხებში ედებოდა. ეგონა, ვერავინ მხედავს კესოს და გიგის გარდაო, მაგრამ ეშლებოდა... მას უკვე ბევრი ხედავდა, რადგან ამ დღემ ბევრს აუხილა გულის თვალი. ასე ხდება, როცა ადამიანების გულებში სიხარული და სიკეთე იბუდებს.

დარგვას რომ მორჩნენ, ყველამ ერთად გადაწყვიტა გაზაფხულზე შეკრება და „ბაღის დაბადების დღის“ აღნიშვნა.

ვინ რას აჩუქებდით ახალგაშენებულ ბაღს?

აქტივობა 11. „საჩუქარი ახალგაშენებულ ბაღს“.

პირობა: წარმოიდგინეთ და დახატეთ ახალგაშენებული ბაღი. (გვ. 30)

მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, თვითონ რას აჩუქებენ „ახალგაშენებულ ბაღს“.

სასურველია, სკოლის ეზოში დარგოთ, სულ მცირე, ერთი ნერგი მაინც. შესაძლებელია ამ ნერგთან წარმართოთ საჩუქრების მიძღვნის ზეიმი!

საორიენტაციო იდეები:

შესთავაზეთ მრვალფეროვანი იდეები, რომ ყველამ თავისი მიდრეკილებების შესაბამისი საჩუქარი შეარჩიოს და მიუძღვნას „ახალგაშენებულ ბაღს“! ეს შეიძლება იყოს:

- ნახატი;
- დაპირება, რომელსაც ზეპირსიტყვიერად წარმოთქვამენ;
- ლამაზი ქვები ან ლამაზად მოხატული ქვები, რომლებსაც ძირში კოხტად მიუწყობენ ნარგავებს;
- სიმღერა;
- ლექსი.

შემოქმედებითი დავალება: ნახატის შექმნა: ჩემი ეზოს ბინადრები

მოსწავლემ უნდა შეარჩიოს ცხოველი და მცენარე, რომლებიც ბინადრობენ მისი სახლის ან სკოლის ეზოში; დახატოს და წარადგინოს.

მოსწავლისთვის დასასმელი შეკითხვების ბანკი:

- რა ცხოველია?
- სად ნახე? სად იპოვე?
- სხეულის რა ნაწილები აქვს?
- რით იკვებება?
- სად ბინადრობს?
- რით არის ეს ცხოველი საინტერესო?
- დღის ცხოველია თუ ღამის?

- როგორია მისი ცხოვრების ნირი შემოდგომაზე? რას აკეთებს?
- რა მცენარეა?
- ბუჩქია თუ ხე?
- მარადმწვანეა თუ არა?
- აქვს თუ არა ნაყოფი?
- როგორი ფოთლები აქვს?

განმავითარებელი შეფასება

(ზოგადი კომენტარი)

განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, თითოეული მოსწავლის წინსვლის, განვითარების ხელშეწყობა. განმავითარებელი შეფასების გამოყენებით ფასდება სწავლის პროცესი, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი წინსვლა, ერთი მხრივ, მისსავე წინარე შედეგებთან, მეორე მხრივ კი – სტანდარტის მოთხოვნებთან შედარებით. სწავლის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე დაკვირვება მასწავლებელს ეხმარება პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯოსებაში, მოსწავლეთა შესაძლებლობების უკეთ განსაზღვრასა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებაში.

განმავითარებელი შეფასებისას შემფასებელი შეიძლება იყოს როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს მიეცეთ თვითშეფასების საშუალება (იშვიათად ურთიერთშეფასებისაც). სწავლის პროცესის შეფასებაში მონაწილეობა მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია, მოსწავლემ გააცნობიეროს სწავლის პროცესი, რათა გააზრებულად და დამოუკიდებლად მართოს იგი.

გარდა ამისა, მოსწავლის მიერ შევსებული თვითშეფასების სქემები მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი წყაროა მოსწავლის ცოდნის სტრუქტურების განვითარების შესაფასებლად.

განმავითარებელი შეფასების სახეობები

გამოვყოფთ განმავითარებელი შესაფასების სამ ძირითად სახეს:

1. მიმდინარე შეფასება – გამოიყენება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში; ყოველ გაკვეთილზე ყოველმა მოსწავლემ მინიმუმ ორი მცირე განმავითარებელი შეფასება უნდა მიიღოს ინდივიდუალურად.

2. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება – გამოიყენება სასწავლო ერთეულის ბოლოს, ეს იქნება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულებისას, თემის დასრულებისას, სემესტრის დასრულებისას და სხვა.

3. განმავითარებელი სადიაგნოსტიკო შეფასება – მისი მიზანია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა სწავლის პროცესში დაგროვებული ხარვეზების გამოვლენის გზით. ცოდნაში ხარვეზების გამოვლენას უნდა მოჰყვეს ხარვეზების გამოსასწორებელი აქტივობები.

განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლის მიღწევას, ნამუშევარს, ქმედებას, ქცევას, პასუხს... ოღონდ არავითარ შემთხვევაში – პიროვნებას. გავრცელებული შეფასებები „კარგი გოგო/ბიჭი„, „ნიჭიერი ბავშვი“, „ზარმაცი ბავშვი“ და მისთ. არც განმავითარებელი შეფასებაა და, უფრო მეტიც, უხეში პედაგოგიური შეცდომაა. „კარგია“ ან „ყოჩაღ“ განმავითარებელ შეფასებად მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდგება, როდესაც პირდაპირ და უეჭველად ცხადია, თუ კონკრეტულად რისთვის აქებს მასწავლებელი მოსწავლეს. ხოლო საუკეთესო განმავითარებელი შეფასება იგივეა, რაც კონკრეტული და საქმიანი ინდივიდუალური უკუკავშირი. ის ერთ-ორ დადებითსა და ერთ-ორ გასაუმჯობესებელ ან განსავითარებელ საკითხს აკონკრეტებს, თანაც

მცირე სასწავლო ხარაჩოსაც კი შეიცავს.

განმავითარებელი შეფასების მოკლე ფორმულა: მიღწევის გამოკვეთა და დაფასება + ბიძგი განვითარებისკენ.

განმავითარებელ შეფასებათა და ინდივიდუალურ უკუკავშირთა სისტემატური და მიზანშეწონილი გამოყენება – ესაა მასწავლებლის მთავარი მოვალეობა და თან მისი პროფესიული ოსტატობის მთავარი მაჩვენებელი, აგრეთვე პედაგოგიური შემოქმედების მთავარი სარბიელი.

შეფასების სქემები პირველი თემისთვის (შემოდგომა)

პირველი თემა ორ თავს მოიცავს. სახელმძღვანელო თითოეული თავისთვის გთავაზობთ მიმდინარე განმავითარებელი შეფასებისთვის განკუთვნილ სქემებს.

თავი 1. ჩვენი სკოლა

ინსტრუმენტი 1. სამდონიანი რუბრიკა მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად (სტანდარტის შედეგებთან შედარებით)

პირველი თავი 5 პარაგრაფისგან შედგება. მასწავლებელი ინიშნავს მოსწავლეების მიღწევებს ამ თავის ყოველი პარაგრაფის დასრულებისას. საჭიროებისამებრ, მასწავლებელს ბოლო სვეტში საგულისხმო ჩანიშვნების გაკეთებაც შეუძლია.

რეკომენდაცია: სასურველია, ქვემოთ მოცემული ცხრილი აიგოს ინტერაქციულ პლატფორმაზე (მაგალითად, Excell, OneNote და სხვა).

ა	ბ	გ
• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნებს სრულად პასუხობს; • დამოუკიდებლად და თავდაჯერებულად ასრულებს მიცემულ დავალებებს.	• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნებს ნაწილობრივ პასუხობს; • საჭიროებს მცირე დახმარებას (მისახვედრებელი, დამკვალიანებელი შეკითხვები, ნიმუშები).	• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნები დასაძლევია; • საჭიროებს ინტენსიურ დახმარებასა და დამატებით ვარჯიშს.

შეფასების კრიტერიუმები	ა	ბ	გ			დაკვირვების ჩანაწერი, შენიშვნები; უკუკავშირი („რა გამოვიდა კარგად„ + „რაზე უნდა ვიმუშაოთ„ + „შემდეგი ნაბიჯი„).
	§1.	§2.	§ 3.	§.4	§ 5.	
სამიზნე ცნება – ჰაბიტატი						
• აღწერს შესასწავლი ცხოველის – ციყვის – საბინადროს;						
სამიზნე ცნება – სხეული						
<u>ცოცხალი სხეული:</u>						
• აღწერს სხეულის რა ნაწილების აქვს ციყვს; • ხსნის, რაში იყენებს სხეულის ამა თუ იმა ნაწილს; • წარმოაჩენს, რით და როგორ იკვებება, როგორ იცავს თავს;						
<u>არაცოცხალი სხეული:</u>						
• ასახელებს სასკოლო ნივთებს; • აღწერს რა ნაწილებისგან შედგება; • ხსნის, რა დანიშნულება აქვს მათ, რაში ვიყენებთ;						
სამიზნე ცნება – სივრცეში ორიენტირება						
• არკვევს და აღნიშნავს ობიექტთა მიმართებით ადგილმდებარეობას (რა რის მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით, ქვევით მდებარეობს)						

თავი 2. სკოლის ეზოში

ინსტრუმენტი 1. სამდონიანი რუბრიკა მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად (სტანდარტის შედეგებთან შედარებით)

მეორე თავი 4 პარაგრაფისაგან შედგება. მასწავლებელი ინიშნავს მოსწავლეების მიღწევებს ამა თუ იმ პარაგრაფის დასრულებისას. საჭიროებისამებრ, მასწავლებელს ბოლო სვეტში საგულისხმო ჩანიშვნების გაკეთებაც შეუძლია.

ა	ბ	გ
• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნებს სრულად პასუხობს; • დამოუკიდებლად და თავდაჯერებულად ასრულებს მიცემულ დავალებებს.	• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვებს ნაწილობრივ პასუხობს; • საჭიროებს მცირე დახმარებას (მისახვედრებელი, დამკვალიანებელი შეკითხვები, ნიმუშები).	• კრიტერიუმის/კრიტერიუმების მოთხოვნები დასაძლევია; • საჭიროებს ინტენსიურ დახმარებასა და დამატებით ვარჯიშს.

შეფასების კრიტერიუმები	ა	ბ	გ		დაკვირვების ჩანაწერი, შენიშვნები; უკუკავშირი („რა გამოვიდა კარგად„ + „რაზე უნდა ვიმუშაოთ„ + „შემდეგი ნაბიჯი„).
	§1.	§2 ;	§ 3.	§.4	
სამიზნე ცნება – ჰაბიტატი					
• აღწერს შესწავლილი ცხოველების (ბუ, ციყვი, ყვავი, ჭიაყელა, ლოკოკინა, გომბეშო, ზღარბი) საბინადროს					
• წარმოაჩენს მათ გარემოსთან შეგუებულობას					
• მონაწილეობას იღებს კომპოსტირებაში, ხსნის, რისთვის არის საჭირო კომპოსტირება, რა სარგებლობა მოაქვს;					

სამიზნე ცნება – სხეული					
<u>ცოცხალი სხეული:</u>					
● აღწერს შესწავლილი ეზოს ბინადრების სხეულის ნაწილებს; ● ხსნის, რაში იყენებენ სხეულის ამა თუ იმა ნაწილს; ● წარმოაჩენს, რით და როგორ იკვებებიან, როგორ იცავენ თავს;					
სამიზნე ცნება – ბუნებრივი მოვლენა					
● აღწერს შემოდგომასთან დაკავშირებულ სეზონურ მოვლენებს (ფოთლის ფერის ცვლილება, ფოთოლცვენა, ცხოველების მზადება ზამთრის ძილისთვის)					
სამიზნე ცნება – სივრცეში ორიენტირება					
● არკვევს და აღნიშნავს ობიექტთა მიმართებით ადგილმდებარეობას (რა რის მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ზევით, ქვევით მდებარეობს)					

თემა 2. დაგვიზამთრდა
თავი 1. ზამთარია, ზამთარია

გრძელვადიანი მიზნები
სამიზნე ცნება: სხეული **სამიზნე ცნების მოცულობა**: ცოცხალი, არაცოცხალი, ბუნებრივი და ხელოვნური სხეულები; არაცოცხალი სხეულის აგებულება, თვისება, შემადგენელი ნივთიერება/მასალა; ცოცხალი სხეულის სასიცოცხლო თვისება (კვება, მოძრაობა, სუნთქვა, გამრავლება, ზრდა-განვითარება, ადაპტაცია); **სამიზნე ცნება: ჰაბიტატი** **სამიზნე ცნების მოცულობა**: ბუნებრივი და ხელოვნური საბინადრო გარემო, გარემოს დაბინძურება, გარემოსდაცვითი ღონისძიება, ნარჩენი, კომპოსტი, ბუნებრივი საფრთხე; უსაფრთხო ქცევის წესები; **სამიზნე ცნება: ბუნებრივი მოვლენა** **სამიზნე ცნების მოცულობა**: სითბოს და სინათლის გავრცელება, ბგერა და მისი გავრცელება; ელექტრული მოვლენა, მაგნიტური მოვლენა, აგრეგატული მდგომარეობა, ძალა და ურთიერთქმედება; ბუნებრივი და სტიქიური მოვლენა.
შუალედური მიზნები
სამიზნე ცნებები: სხეული, ჰაბიტატი **ცნება: ცოცხალი სხეული, ბუნებრივი საბინადრო გარემო** – ეზოს ბინადრების ზამთრის საბინადროს აღწერა, მათი ზამთრის გარემოსთან შეგუებულობის წარმოჩენა – მსჯელობა, როგორ, რა საშუალებებით უმკლავდება სხვადასხვა ცხოველი ზამთრის მკაცრ პირობებს, მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების აღნიშვნა; **სამიზნე ცნება: სხეული** **ცნება: არაცოცხალი სხეული** – სხვადასხვა ამინდისთვის გამზადებული სამოსის, შემადგენელი მასალის, ამ მასალის თვისებების აღწერა, დანიშნულების ახსნა; **სამიზნე ცნება: ბუნებრივი მოვლენა** ზამთართან დაკავშირებული ბუნებრივი მოვლენების წარმოჩენა.
შემოქმედებითი დავალება 1. მოსწავლემ სკოლის ეზოს შესწავლილი ბინადრებიდან – ყვავი, ბუ, ჭიაყელა, გომბეშო, ზღარბი, შაშვი – აირჩიოს ერთ-ერთი და დახატოს – „ჩვენი ეზოს ბინადრის ზამთრის სიზმარი“. **ნამუშევრის წარდგენისას მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების დახმარებით მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს:** ● სად ბინადრობს ზამთარში, როგორია მისი ზამთრის საბინადრო; ● როგორ ატარებს ზამთარს; ● რით, როგორ უძლებს ზამთრის მკაცრ პირობებს; ● რა ესიზმრება, რატომ ესიზმრება ასეთი სიზმარი.

მეთოდიკური მითითება: ცხადია, ნახატის ხარისხი არ ფასდება – არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რას და როგორ დახატავს მოსწავლე. მთავარია, რას იტყვის საუბრისას, რამდენად წარმოაჩენს იმ ცოდნას, რომელიც შუალედური მიზნებითაა განსაზღვრული.

შემოქმედებითი დავალება 2. ნახატები – რა მიყვარს ყველაზე მეტად ზამთარში? (ეს დავალება მოსწავლეებს მიეცით წელიწადის ყველა დროსთან დაკავშირებით. ბოლოს გაეცნობიან იაკობ გოგებაშვილის ტექსტს „ოთხი სურვილი“).

თუკი მოსწავლე მოისურვებს, შეიძლება ნახატზე წარწერები გააკეთებინოს მშობელს – მშობელი იქნება მისი „კალამი“: ნახატს დააწერს იმას, რასაც ბავშვი უკარნახებს. ეს ნახატები შეინახეთ და როცა მოსწავლეები კითხვას ისწავლიან, წააკითხეთ!

§1. როგორ ემზადებიან ცხოველები გამოსაზამთრებლად

აქტივობა 1. ჭიამაიასა და გომბეშოს ნირზე დაკვირვება

აქტივობა 2. ამოცნობა იმ ცხოველებისა, რომლებიც ზამთრის ძილს ეძლევიან

აქტივობა 3. გაფერადება

აქტივობა 4. ცხოველთა ნაკვალევზე დაკვირვება

აქტივობა 5. ნაკვალევის ცხოველთან დაკავშირება

აქტივობა 6. ცხოველების დაკავშირება შესაბამის საბინადროსთან, მსჯელობა მათ ნირზე

აქტივობა 7. დაკვირვება მობინადრე ცხოველებზე

რეკომენდებული დავალება – საკვებურის დამზადება

აქტივობა 8. ვარაუდების გამოთქმა


აქტივობა 9. ტექსტის მოსმენა-გაგება, ვარაუდების გადამოწმება

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 4 სთ.

აქტივობა 1. ჭიამაიასა და გომბეშოს ნირზე დაკვირვება (გვ. 40)

პირობა: დააკვირდით სურათებს და გამოთქვით თქვენი აზრი:

- რატომ არიან ჭიამაიები ერთად შეჯგუფებულები?
- რატომ გვირჩევენ მებაღეები გომბეშოების მოშენებას?



► **ინსტრუქცია**

დააკვირვეთ მოსწავლეები სურათებზე და შეკითხვებით დაეხმარეთ წინარე ცოდნის გააქტიურებასა და მოსაზრებების გამოთქმაში:

- სად გინახავთ ჭიამაიები?
- რა იცით მათ შესახებ?
- გინახავთ ასე ერთად შეგროვებული ჭიამაიების გუნდი?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არიან ერთად შეგროვებული?
- გინახავთ თუ არა გომბეშო?
- რა იცით მის შესახებ?
- როგორ გგონიათ, რატომ გვირჩევენ მებაღეები, რომ ჩვენს ბაღ-ბოსტნებში გვყავდეს გომბეშოები?
- როგორ ახერხებს გომბეშო მწერის ენით დაჭერას?

აცადეთ მოსწავლეების აზრების გამოთქმა, შემდეგ მიაწოდეთ ინფორმაცია:

- ჭიამაიები ასე გროვდებიან შემოდგომის მიწურულს, ისინი ემზადებიან გამოსაზამთრებლად. თუ როგორ უნდა გამოიზამთრონ, ამას მალე გავიგებთ ჩვენს ციყვ ციოსთან ერთად.
- მართალია, გომბეშოების დანახვა ბევრს არ სიამოვნებს, მაგრამ თურმე მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ ადამიანისთვის. როცა ყველას სძინავს, ისინი ღამით გამოდიან ბაღ-ბოსტნებსა თუ ვენახებში და მუსრს ავლებენ მავნე მწერებსა და მათ მატლებს, რომლებიც აზიანებენ მცენარეებს. გომბეშოს ენა უკუღმა აბია, თურმე ენა მიმაგრებული აქვს პირის წინა ნაწილში (და არა სხვა ცხოველებივით უკანა ნაწილში), რის გამოც მას შეუძლია დიდ მანძილზე მისწვდეს მწერს და წებოვანი ენით დაიჭიროს. მებაღეებიც ამიტომ გვირჩევენ, არ მივაქციოთ ყურადღება გომბეშოს არასასიამოვნო გარეგნობას; გვახსოვდეს, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს ამ ცხოველს და მფარველობა გავუწიოთ მას სიკეთისათვის (იაკობ გოგებაშვილის ტექსტის „გომბეშოს“ მიხედვით).

აქტივობა 2. ამოცნობა იმ ცხოველებისა, რომლებიც ზამთრის ძილს ეძლევიან.

პირობა: მოისმინეთ ტექსტი და გააფერადეთ იმ ცხოველების უჯრედები, რომლებიც ზამთრის ძილით იძინებენ (გვ. 32).



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს აჩვენებთ რვეულის აქტივობას და აუხსნით: ახლა მე წაგიკითხავთ ტექსტს, რომლიდანაც ციყვი ციო გაიგებს, რომელი ცხოველები იძინებენ მთელ ზამთარს. ნახატებიდან თქვენ უნდა შეარჩიოთ ძილისგუდა ცხოველები და გააფერადოთ.

ვის არ უნახავს ზამთარი?

მოღრუბლული დღეა, ცივა. სკოლის ეზოში ჩამიჩუმი არ ისმის. ციყვი ციო ნაძვის ხეზე მოკალათებულა და თავის მეგობრებს ელოდება. უეცრად ეზოში კუს მოჰკრა თვალი.

ხიდან ისკუპა და კუს წინ დაეშვა.

– კუ, რა კარგია, აქ რომ ხარ, აღარავინ ჩანს ირგვლივ. ერთად ვითამაშოთ, გავერთობით.

კუმ ბაკნიდან თავი გამოყო, ციყვს მიაჩერდა და უთხრა:

– რა დროს გართობაა, მიწაში სოროს ვიმზადებ, იქ უნდა ჩავძვრე და გაზაფხულამდე დავიძინო. წამოდი, შენც დაიძინე. სოროში თბილა და გაყინვას გადავრჩებით. გაზაფხულზე ერთად ამოვძვრებით და გემრიელ მცენარეებს შევჭამთ. ზღარბებიც, ლოკოკინებიც, ხვლიკებიც მიწაში იზამთრებენ. წამო, წამო, ძალიან მოგეწონება, ზამთრის ძილი დიდებული რამაა!

– არა, არ მინდა მიწაში, ჰაერზე და თოვლში მირჩევნია. ზამთრისთვის სარჩო მოვიმარაგე, ხავსიან თბილ ფუღუროში ზამთრის გატარებას რა სჯობს, – თქვა ციყვმა და კუს ჰკითხა:

– ზამთარი არასდროს გინახავს?

– არასდროს მინახავს, მგონი, არც არსებობს, – უპასუხა კუმ.

ციყვი ციო დაღონდა. ფიქრობდა, რა ცუდია, რომ არც კი იციან, რა ლამაზია თეთრი, თოვლიანი ზამთარიო...

ციომ იქვე, ფიჭვის ხეზე, ჭიამაიების გუნდს მოჰკრა თვალი. ძალიან ბევრნი იყვნენ ერთად. ხის ქერქზე მოკალათებულნი რაღაცაზე ბჭობდნენ.

– ჭია-ჭია-მაიებო, წამოდით, ბავშვები მალე გამოვლენ გაკვეთილებიდან და ერთად ვითამაშოთ!

– ციყვო, რა დროს თამაშია, უკვე აცივდა. ხის ქერქის ქვეშ გამოსაზამთრებელს ვეძებთ, რომ არ გავიყინოთ. შენცა და ბავშვებსაც ზაფხულში გეთამაშებით, – თქვეს და მერქანს დაუწყეს სინჯვა, – ვერ შემოეტევი, თორემ დაგპატიჟებდით. რა სჯობს ზამთრის ძილს. თავად ზამთარი არასდროს გვინახავს, მაგრამ ძილი გემრიელი აქვს! და ნელა მერქნის ქვეშ გაუჩინარდნენ.

ციომ მოიწყინა. აქეთ-იქით დაიწყო ყურება. უცებ იქვე ახლოს, ბუჩქის ძირში მიყრილ ფოთლებში რაღაც ამოძრავდა, კარგა დიდზე ამოიბერა.

– ზღარბია? – ჰკითხა ციომ კუს. მათ საუბარზე ლოკოკინაც გამომძვრალიყო ნიჟარიდან.

– არა, ზღარბი ჩვენ შორის ყველაზე დიდი ძილისგუდაა, ის უკვე თავის თბილ საძინებელშია – ფოთლებისა და ტოტების გროვის ქვეშ და ტკბილად სძინავს, – აუხსნა კუმ.

– ნეტა რა არის? – ინტერესით უყურებდა ციო, რა ამოძვრებოდა ფოთლებიდან.

– მგონი, მძინარე გომბეშო გავაღვიძეთ, – საცეცები აამოძრავა ლოკოკინამ,

– მაგის გრძელ ენას ყველა უნდა ვერიდოთ! – თქვა ლოკოკინამ და ისევ მიწაში ჩაძვრა. კუ ბაკანში შეიმალა, ციო ცაცხვზე ახტა.

ზუსტად მიმხვდარან! ფოთლებიდან გაბერილი გომბეშო გამოძვრა. რადგან ვერავის მოჰკრა თვალი და არც მზეზე სიარული უყვარდა, ისევ ფოთლებში შეიყუჟა. იქვე ქვების პატარა გროვაც იყო. გომბეშო ღრმად შეძვრა დასაძინებლად. მისთვის ქვების გროვა და პატარა ორმოები ხომ ზამთრის ფუმფუსა საწოლებია.

– გამოდის, რომ ყველანი ძილში გაატარებენ ზამთარს და თოვლის პაპის საჩუქრები მხოლოდ მე შემხვდება, – ჩაილაპარა ციომ, – გოზინაყიც მარტო ჩემი იქნება! – თქვა და, მგონი, კიდეც გაუხარდა.

- ტექსტის წაკითხვის შემდეგ გადაამოწმეთ რვეულში შესრულებული დავალება და, საჭიროებისამებრ, გაასწორეთ.

აქტივობა 3. გაფერადება (გვ. 33)

პირობა: გააფერადეთ ძილისგუდა ცხოველები და ისაუბრეთ, რომელმა ცხოველმა სად მოიწყო თავშესაფარი ზამთრის ძილისთვის.



► **ინსტრუქცია**

შეკითხვების დახმარებით ასაუბრეთ მოსწავლეები „ძილისგუდა“ ცხოველებზე.

საორიენტაციო შეკითხვები:

- რომელი ცხოველია ბურთივით დამრგვალებული?
- სად მოიწყო მან დასაძინებელი?
- სად იძინებს გომბეშო?
- რატომ ჩანს მხოლოდ ლოკოკინას ნიჟარა?
- კუს რატომ არ უჩანს თავი? სად დაიდო ზამთრის ბინა?
- რომელი ცხოველია დახვეული? სად აქვს ზამთრის საბინადრო?

და სხვ.

აქტივობა 4. ცხოველთა ნაკვალევზე დაკვირვება (გვ. 41)

პირობა: დააკვირდით ცხოველების ნაკვალევს. რომელი ნაკვალევებია მსგავსი?



► **ინსტრუქცია**

შეკითხვების დახმარებით ასაუბრეთ მოსწავლეები ცხოველთა ნაკვალევებზე.

საორიენტაციო შეკითხვები:

- რომელი ცხოველებია ნახატებზე?
- გინახავთ თუ არა რომელიმე ცხოველის ნაკვალევი?
- რომელი ცხოველების ნაკვალევი ჰგავს ერთმანეთს?
- რით გაარჩევ ფრინველის ნაკვალევს ოთხფეხა ცხოველების ნაკვალევისგან.
- რომელ ცხოველს არა აქვს ბრჭყალი? {თხასა და ირემს}
- მაშ, რა აქვთ? {ჩლიქები}
- კიდევ რომელ ნაცნობ ცხოველებს აქვთ ჩლიქები?

აქტივობა 5. ნაკვალევის ცხოველთან დაკავშირება (გვ. 34)


პირობა: დაკვირდით, რომელი ცხოველის ნაკვალევია თოვლზე და ხაზით დააკავშირეთ ცხოველი ნაკვალევთან.





აქტივობა 6. ცხოველების დაკავშირება შესაბამის თავშესაფართან, მსჯელობა მათ ნირზე (გვ. 35)

პირობა: ხაზით დაუკავშირეთ ცხოველები თავის თავშესაფარს და ისაუბრეთ, რომელი როგორ გამოიზამთრებს.



► **ინსტრუქცია**

ა) ჯერ ერთობლივად გადაამოწმეთ, რომელი ცხოველი რომელ თავშესაფარს დაუკავშირეს მოსწავლეებმა და, საჭიროებისამებრ, შეცდომებიც გაასწორებინეთ.

ბ) შემდეგ დაუსვით შეკითხვები, რომელთა საშუალებით მოსწავლეებს განარჩევინებთ:

- ცხოველებს, რომლებიც ზამთრის ძილით იძინებენ;
- ცხოველებს, რომლებიც ზამთრისთვის საკვებს იმარაგებენ;
- ცხოველებს, რომლებიც ზამთარში მოიპოვებენ საკვებს;
- ცხოველებს, რომლებსაც ზამთარში უჭირთ საკვების შოვნა (მაგ., შაშვი, ჩხიკვი, ბეღურა, წივწივა, წინკანა...).

საორიენტაციო შეკითხვები:

- ამ ცხოველებიდან რომელი იძინებს ზამთარში?
- რომელ ფუღუროს დაუკავშირეთ ციყვი – ცარიელს თუ სავსეს? ბუ? რატომ?
- კიდევ რომელი ცხოველი იმარაგებს საკვებს ზამთრისთვის? სად ინახავს?
- როგორ გგონიათ, ბუ რით და როგორ ირჩენს თავს ზამთარში? {ნადირობით} (აქვე შეახსენეთ ბავშვებს, რომ ბუს განსაკუთრებული სმენა და მხედველობა აქვს. მას შეუძლია თაგვის ფეხის ხმაც კი გაიგოს)
- თურმე ზღარბი ზამთრის ძილამდე ძალიან ბევრს ჭამს. როგორ გგონიათ, რატომ? {ცხიმს იგროვებს და ზამთრის ძილის დროს დაგროვილ ცხიმს ხარჯავს}
- აბა, დააკვირდით სურათებს, თქვენი აზრით, კიდევ რომელი ცხოველი იგროვებს ბევრ ცხიმს ზამთრის ძილამდე? {დათვი}
- ამ ცხოველებიდან ყველაზე მეტად რომელს გაუჭირდება საკვების შოვნა? რომელს სჭირდება დახმარება? {შაშვს}
- კიდევ რომელი მობინადრე ფრინველები იცით? დიახ, შაშვი მობინადრე ფრინველია, ის ზამთარს აქ ატარებს.

გ) კითხვებით შეაჯამებინეთ მოსწავლეებს ზევით შესწავლილი, რათა მათ გაიაზრონ, როგორ ეგუებიან ცხოველები გარემოს სხვადასხვა საშუალებით (ტერმინის „შეგუება“ გამოყენება არ არის საჭირო):

- მაშ, როგორ გადაირჩენენ თავს ციყვი და ტყის თაგვი ზამთარში, როცა მათთვის საჭირო საკვები ბუნებაში აღარ არის? {ისინი საკვებს იმარაგებენ}
- როგორ გადაირჩენს თავს ზღარბი? {ბევრს შეჭამს შემოდგომამდე, ცხიმს დაიგროვებს და დაიძინებს, რომ არ დასჭირდეს საკვები}

- რით გადაირჩენს თავს ბუ? {ნადირობით, რაშიც მას ეხმარება ბრჭყალები, განსაკუთრებული სმენა და მხედველობა}
- რა ეშველებათ მობინადრე ფრინველებს? ჩვენ ხომ არ ვიზრუნოთ მათზე?

ინფორმაცია მასწავლებლისათვის

- ბუ ღამის მტაცებელია და ზამთარშიც ნადირობს, ძირითადად – პატარა მღრღნელებზე: თაგვებზე, ველის თაგვებზე, ასევე – ჩიტებზე.
- ზღარბი ზამთრის ძილს ეძლევა ოქტომბრიდან მარტამდე. ძილის წინ ზაფხულ -შემოდგომაზე, ბევრს ჭამს და ცხიმს იგროვებს. ზამთრის ძილის დროს საერთოდ არ ჭამს, მხოლოდ დაგროვილ ცხიმს ხარჯავს. დაზამთრებისას ზღარბი იმალება ორმოებში, ტოტებისა და ხმელი ფოთლების ქვეშ.

აქტივობა 7. დაკვირვება მობინადრე ფრინველებზე

სთხოვეთ მოსწავლეებს, გარეთ ყოფნისას, სკოლისა თუ სახლის ეზოებში, დააკვირდნენ მობინადრე ფრინველებს. თუ აქვთ საშუალება, მშობლების დახმარებით გადაუღონ მათ სურათები და კლასში წარადგინონ. შესაძლებელია, ერთ-ერთ გაკვეთილზე ერთად გახვიდეთ სკოლის ეზოში და დააკვირდეთ, თუ არიან სადმე მობინადრე ფრინველები, იქნებ სახეობაც გაარკვიოთ.

რეკომენდებული დავალება – საკვებურის დამზადება (გვ. 42)

პირობა: დააკვირდით საკვებურებს და ამოიცანით, რისგან არის ისინი დამზადებული. თქვენ რომელ საკვებურს აირჩევდით თქვენი ეზოს ფრინველებისთვის?



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს აუხსენით, რომ ზამთარში მობინადრე ფრინველებს ძალიან უჭირთ საკვების შოვნა. ამიტომ ბევრი კეთილი ადამიანი მათთვის საკვებურებს ამზადებს და მთელი ზამთარი კვებავს. შემდეგ სთხოვეთ, დააკვირდნენ სურათებს, დაუსვით შეკითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რისგან არის საკვებურები დამზადებული?
- რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად?
- ჩვენც ხომ არ გავაკეთოთ საკვებური ჩვენი ეზოს მობინადრე ფრინველებისთვის?
- რომელ საკვებურს შეარჩევთ?

აქტივობა 8. ვარაუდების გამოთქმა

უთხარით მოსწავლეებს: ციო მოწყენილია, ძილისგუდა ცხოველები ახალ წელს რომ ვერ შეხვდებიან... მაგრამ კესომ და გიგიმ მათთვის ისეთი რამ მოიფიქრეს, რომ ციო სიხარულისგან დახტოდა! როგორ გგონიათ, რა სიურპრიზი მოიფიქრეს მათ?

შემდეგ წაუკითხეთ ტექსტი.

აქტივობა 9. ტექსტის მოსმენა-გაგება, ვარაუდების გადამოწმება

მზრუნველი მეგობრები

სკოლის ზარიც გაისმა და ბავშვები გარეთ გამოეფინენ. გაკვეთილები დასრულებულა. კესო და გიგი ჩანთამოკიდებულები გამოვიდნენ, ციოს დაუწყეს თვალებით ძებნა და ჭიშკრისკენ გაეშურნენ. ციომაც არ დააყოვნა და პირდაპირ კესოს ზურგჩანთაზე შეხტა.

– აბა, ციო, დღეს რომელი ბინადრები გაიცანი?

– დღეს გავიცანი გომბეშო, ლოკოკინა, ჭიამაიები, კუ, მაგრამ ძალიან მოვიწყინე.

– რად მოწყინე?

– სუყველანი დასაძინებლად მიდიან, ვერც ზამთარს ნახავენ, ვერც საახალწლოდ მორთულ ნაძვის ხეს, ვერც საჩუქრებს მიიღებენ.

– ჩვენ უკვე ვიფიქრეთ ამაზე და გადავწყვიტეთ, თოვლის პაპას ვთხოვოთ დახმარება!

– რაში უნდა დაიხმაროთ? – ვეღარ ითმენდა ციო.

– ვისაც მთელი ზამთარი სძინავს და ახალი წელი არ უნახავს, მათთვის გვინდა „გაზაფხულის ახალი წელი„ მოვაწყოთ!

– რა ჭკვიანი ბავშვები ხართ. როგორ მოიფიქრეთ ეგ? – წრიპინებდა ციო და აქეთ-იქით დახტოდა.

– საჩუქრებსაც დავუმზადებთ ძილისგუდებს! კიდევ ზამთრის საკვებურებსაც გავმართავთ ჩიტებისთვის!

– მთელ დედამიწაზე არავის ჰყავს ჩემნაირი მეგობრები! – გაიძახოდა ციო სიხარულით.

– შენც გაგიმზადებთ საჩუქარს, ჩვენო ბუთიკო!

– მეც?

– ჰო, განა გულს დაგწყვეტთ? მასწავლებელმა და ბავშვებმა ერთად გადავწყვიტეთ, რომ მომავალ კვირას სკოლის ეზოში შენი ნაძვის ხე მოვრთოთ!

§2. ახალი წელი მოდის

აქტივობა 1. ორი სურათის შედარება

აქტივობა 2. გაფერადება

საგაკვეთილო საათების სავარაუდო რაოდენობა: 1 სთ.

აქტივობა 1. **ორი სურათის შედარება** (გვ. 43)


პირობა: ერთმანეთს შეადარეთ შემოდგომისა და ზამთრის სურათები. იპოვეთ და დაასახელეთ, სულ მცირე, ექვსი განსხვავება.





აქტივობა 2. გაფერადება (გვ. 36)

პირობა: **გააფერადეთ.**



► **ინსტრუქცია**

მოსწავლეებს წაუკითხავთ ლექსს; შემდეგ ისინი გააფერადებენ რვეულში სურათს.

ჩვენს ეზოში ნაძვის ხე დგას,
ლამაზი და მაღალი.
ყველამ ერთად უნდა მოვრთოთ –
დგება წელი ახალი!

მაგრამ ნაძვი იმხელაა,
ვინ შესწვდება მის ტოტებს?!
დახმარება ყვავისა და
ციყვისაგან ვითხოვეთ.

მოგვეხმარნენ ბეღურებიც,
მტრედები და შოშია.
ციომ გირლიანდა შეკრა,
ტოტზე შემოახვია.



ანა-ბანა, ანა-ბანა,
სიხარულმა ამიტანა,
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა
სადღა აღარ წამიყვანა.

მთაში ჩანჩქერები ვნახე,
ბარში ია-ვარდის ყანა -
ეს პატარა საქართველო
რა ყოფილა ამისთანა!

მორის ფოცხიშვილი

9 789941 889189

26.05.1.0.1



